ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი
პროგრამების კატალოგი
2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

ბაკალავრიატი

1. ბიზნესის ადმინისტრირება

საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება:
ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ( Bachelor of Business Administration )
პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი
240 კრედიტი ასე ნაწილდება: 170 კრედიტი მოდის ძირითად მაპროფილებელ სპეციალობაზე. დარჩენილი 70 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის მოცულობით და არჩევითი (ე.წ. თავისუფალი კომპონენტები) 10 კრედიტის მოცულობით, ან სულ აითვისოს თავისუფალი კრედიტების სახით.
ძირითადი მაპროფილებელი სპეციალობის კურსები შემდეგნაირად ნაწილდება:

- საფაკულტეტო სასწავლო კურსები – 45 კრედიტი;
- პრაქტიკა – 5 კრედიტი;
- მაპროფილებელი სასწავლო კურსები – 120 კრედიტი (მათ შორის არჩევითი მოდულის 25 კრედიტი).

კრედიტების ყოველწლიური რაოდენობა არის 60.

არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც გაერთიანებულია მოდულში, ისწავლება VII-VIII სემესტრებში. მოდული ითვალისწინებს 20 კრედიტის მოცულობით მაპროფილებელი სასწავლო კურსების გაღრმავებულ სწავლებას. შემოთავაზებული 7 მოდულიდან სტუდენტი ირჩევს ერთს და ორი სემესტრის განმავლობაში სწავლობს არჩეული მოდულის საგნებს.

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მართვას შეძლებენ. ამაში მათ დაეხმარება მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება ბიზნესის მართვის მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. კერძოდ, მას ეცოდინება: ბიზნესის მართვის ფუნდამენტური დებულებების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების დეტალურად ჩამოყალიბება; ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ბიზნესის ადგილისა და როლის შეფასება; ბიზნესის როლის დაკავშირება მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებთან; ბიზნესის სფეროში არსებული სათანადო ტერმინოლოგიის განმარტება; ორგანიზაციების ეროვნული და გლობალური ეკონომიკური გარემოს აღწერა; საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების ჩამოთვლა; ბიზნესის განვითარების თეორიული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა; ორგანიზაციასა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური და კულტურათაშორისი პასუხისმგებლობის შეცნობა; ბიზნესის სფეროში მუშაობისათვის აუცილებელი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების შერჩევა; ბიზნეს–გარემოში მიმდინარე ცვლილებების გამოცნობა და მათთან მისადაგება; ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების – ზოგადი და ოპერაციული მენეჯმენტის, მარკეტინგისა და გაყიდვების, ფინანსების, ბუღალტერიის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო პრობლემების გამოკვეთა და მათი ურთიერთშეპირისპირება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება: თანამედროვე ბიზნესის განვითარების თავისებურებების დემონსტრირება, ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური ვითარების ობიექტური ახსნა, ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების გამოცნობა, ბიზნეს–გარემოს ანალიზისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, ორგანიზაციის საქმიანობაზე მაკრო და მიკროეკონომიკური გავლენის ჩვენება, ორგანიზაციული პროცესების იდენტიფიცირება, ბიზნეს–პროცესის მონაწილეების განსაზღვრა, ორგანიზაციის წინაშე არსებული მმართველობითი პრობლემების აღმოჩენა და მათი გადაჭრა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საბაზისო დოკუმენტების მომზადება, მარკეტინგული მონაცემების მოძიება და ანალიზი, მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების გამოცნობა, ბაზრის კვლევა და მისი შესაძლებლობების განსაზღვრა, მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, საბანკო–საფინანსო სფეროში არსებული პრობლემების გამოცნობა, ფინანსური ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, ფინანსური დოკუმენტების მომზადება, ბუღალტრული და ფინანსური სისტემების გამოყენება, ორგანიზაციის ფუნქციური

ქვედანაყოფებს შორის თანამშრომლობის შექმნა, ბიზნეს–პროექტების ცალკეული კომპონენტის შემუშავება, ბიზნესის მართვასთან სამართლებრივი და ეთიკური პრინციპების დაკავშირება.

დასკვნის უნარი
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:
აბსტრაქტული აზროვნება;
სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, ანალიზი და სინთეზი;
ბიზნესის სფეროში არსებული ძირითადი პრობლების იდენტიფიკაცია, გამოცალკავება და ერთმანეთთან შედარება;
ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შეპირისპირება და შეფასება;
ორგანიზაციის ანალიზისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამორჩევა;
ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორი დიაგნოსტირება;
ახალი ინფორმაციის განზოგადება;
შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა;
გადაწყვეტილების მიღებისათვის მომზადება;
არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება, ძირითადად, ოპერაციულ ან ტაქტიკურ დონეზე;
შეთავაზებული გადაწყვეტილების დაცვა;
განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავება და სამოქმედო გეგმის შედგენა;
ხელმძღვანელობისათვის სამოქმედო გეგმის შეთავაზება.

კომუნიკაციის უნარი
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:
იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება;
უცხო ენაზე კომუნიკაცია B2 დონეზე;
ბიზნესის დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა ქართულ და უცხოურ ენაზე;
რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია;
საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს–ტერმინოლოგიის გამოყენებით;
საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;
თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენება;
ელექტრონული დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
ბიზნესის შესაბამისი საინფორმაციო ბაზებისა და პროგრამების გამოყენება;

ახალ სიტუაციაში ადაპტირება;

საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა;

ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა;

სოციალური ინტერაქცია და კოოპერაცია;

სხვა სფეროს ექსპერტებთან კომუნიკაცია და კამათი;

პროფესიულ მოლაპარაკებასა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.

სწავლის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;

შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;

ცოდნის განახლება და დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება;

სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობა;

ცოდნის რეგულარულად განახლება დარგობრივი ლიტერატურის კითხვით.

ღირებულებები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი ღირებულებები:

ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;

ეთიკური ნორმების დაცვა;

გარემოს უსაფრთხოების დაცვა;

სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება;

თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული პრობლემების გათავისება და დემონსტრირება;

ადამიანთა მოტივაციისა და საერთო მიზნების მისაღწევად მათი ორგანიზება.

თავისუფალი კომპონენტებისა და დამატებითი სპეციალობის სწავლის შედეგები ითვალისწინებს სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროგრამებიდან ისეთი სასწავლო კურსების შერჩევას, რომლებიც სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, დამატებითი კომპეტენციების შეძენას განაპირობებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100–დან 51 ქულის დაგროვება. შეფასების ამ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასეთია:

| ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან | შეფასება | ნიშანი |
|---|---|---|
| 91%-ზე მეტი | „A" ფრიადი | დადებითი |
| 81-90% | „B ძალიან კარგი | დადებითი |
| 71-80% | „C კარგი | დადებითი |
| 61-70% | „D" დამაკმაყოფილებელი | დადებითი |
| 51-60% | „E" საკმარისი | დადებითი |
| 41-50% | „ X" ვერ ჩააბარა | უარყოფითი |
| 0-40% | „F" ჩაიჭრა | უარყოფითი |

დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50%.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), მოიცავს 152 კვირას, 6000 საათს და ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტის დაგროვებას. ერთი სასწავლო წელი შედგება ორი – შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისაგან. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას (15 კვირა საუდიტორიო მეცადინეობები, 16-ე-19-ე კვირა სასესიო პერიოდი). ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, საუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%-ს.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება
საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება - ძირითადი სპეციალობა (მეიჯორი)

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი თემურ შენგელია, პროფესორი ელენე ხარაბაძე, პროფესორი დემურ სიჭინავა, პროფესორი იოსებ ხელაშვილი.

აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება #57

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011-2012

| სასწავლო კურსები / მოდულები | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფაკულტეტო სასწავლო კურსები / მოდულები | | | | | | | | | |
| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა | | | დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის) | ლექტორი/ლექტორები |
| | | | სულ | ლექცია | მუშაობა ჯგუფში/სემინარი/პრაქტიკული | | | | |
| | უცხო ენა 1 | 5 | 125 | 0 | 90 | 35 | წინაპირობის გარეშე | I შემოდგომის | თსუ ენების ცენტრის ლექტორები |
| | უცხო ენა 2 | 5 | 125 | 0 | 90 | 35 | უცხო ენა 1 | II გაზაფხულის | თსუ ენების ცენტრის ლექტორები |
| | უცხო ენა 3 | 5 | 125 | 0 | 90 | 35 | უცხო ენა 2 | III შემოდგომის | თსუ ენების ცენტრის ლექტორები |
| | უცხო ენა 4 | 5 | 125 | 0 | 90 | 35 | უცხო ენა 3 | IV გაზაფხული | თსუ ენების ცენტრის |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | ს | ლექტორები |
| | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | 5 | 125 | 30 | 30 | 65 | წინაპირობის გარეშე | I შემოდგომის | თ. ზერეკიძე |
| | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | 5 | 125 | 30 | 30 | 65 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | II გაზაფხულის | თ. ზერეკიძე |
| | ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა | 5 | 125 | 30 | 45 | 50 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | II გაზაფხულის | ო. ფურთუხია |
| | მიკროეკონომიკის პრინციპები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | I შემოდგომის | ე. მექვაბიშვილი მ. ნაცვალაძე |
| | მაკროეკონომიკის პრინციპები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მიკროეკონომიკის პრინციპები | II გაზაფხულის | ე. მექვაბიშვილი მ. ნაცვალაძე |
| სულ: | | 45 | | | | | | | |

თავისუფალი კრედიტები ( სასწავლო კურსები / მოდულები)

| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა | | | დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის) | ლექტორი/ლექტორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | ლექცია | სემინარი/პრაქტიკული | | | | |
| | სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ფაკულტეტის ნებისმიერი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | | I შემოდგომის | |
| | | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | | V შემოდგომის | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საგანი,<br>მათ შორის: | | | | | | | | |
| | ქართულენოვანი სასწავლო კურსები | | | | | | | | |
| | ლიდერობა-მართვის ხელოვნება | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | | ნ. ხარაძე, ე. გულუა |
| | ფინანსური ანგარიშგება | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | | ნ. კვატაშიძე |
| | შიდა აუდიტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური აღრიცხვა (10 კრედიტი) | | ლ. საბაური |
| | მმართველობითი და ფინანსური ანალიზი *(გათვალისწინებული არ არის „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის“ მოდულის სტუდენტებისთვის)* | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | | მ. ჯიქია |
| | ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები<br>(უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის) | | | | | | | | |
| | ოპერაციათა მენეჯმენტი (Operations management) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა B2 | | ე. ჩოხელი<br>დ. ნიჟარაძე |
| | საერთაშორისო | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა | | დ. ნარმანია |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მენეჯმენტი (International management) - | | | | | | B2 | | ე. ჩოხელი<br>დ. ნიჟარაძე |
| | ლიდერობა (Leadership) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა B2 | | ნ. ხარაძე<br>ე. გულუა |
| | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები (Fundamentals of Accounting) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა B2 | | ე. ხარაბაძე<br>ი. მამუკელაშვილი |
| | ფინანსური აღრიცხვა (Financial Accounting) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა B2 | | ნ. სრესელი<br>რ. სრესელი |
| | აუდიტი (Audit) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა B2 | | ლ. საბაური<br>ქ. ყარაულაშვილი |
| | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები (Financial Institutions and Markets) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა B2 | | თ. გამსახურდია |
| | კორპორაციათა ფინანსები (Corporate Finance) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები; ინგლისური ენა B2 | | თ. კბილაძე |
| | საჯარო ფინანსები (Public Finance) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები; ინგლისური ენა B2 | | თ. კასრაძე |
| | მარკეტინგის | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა | | ნ. თოდუა |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პრინციპები (Principles of Marketing) | | | | | | B2 | | ჩ. ჯაში |
| | ტურიზმის საფუძვლები (Tourism Basics) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა B2 | | ი. ხელაშვილი<br>ნ. კაციტაძე<br>ვ. არღუთაშვილი<br>ნ. მაისურაძე |
| | სტრატეგიული მენეჯმენტი მასპინძლობაში (Hospitality Strategic Management) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა B2 | | მ. ხოხობაია |
| | საერთშორისო ტურიზმი (International Tourism) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა B2 | | მ. ხოხობაია<br>ვ. არღუთაშვილი<br>ნ. მაისურაძე |
| | ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში (Informatics in Economics and Business) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინგლისური ენა B2 | | დ. სიჭინავა<br>რ. სეთურიძე<br>თ. მელქოშვილი<br>მ. ტიკიშვილი |
| სულ: | | 10 | | | | | | | |

მაპროფილებელი სასწავლო კურსები / მოდულები

| | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა | დამოუკიდებელი მუშაობის | საგანზე/მოდულზე დაშვების | სწავლების სემესტრი (შემოდგომი | ლექტორი/ლექტორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | სულ | ლექცია | სემინარი/პრაქტიკული | საათების რაოდენობა | წინაპირობა | ს/ გაზაფხულის) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *სავალდებულო სასწავლო კურსები* | | | | | | | | |
| | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | I შემოდგომის | თ. შენგელია<br>უ. სამადაშვილი<br>ლ. ქადაგიშვილი |
| | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 | II გაზაფხულის | თ. შენგელია<br>უ. სამადაშვილი<br>ლ. ქადაგიშვილი |
| | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | II გაზაფხულის | ე. ხარაბაძე |
| | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | III შემოდგომის | ს. გელაშვილი |
| | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესისთვის 1 | IV შემოდგომის | ს. გელაშვილი<br>ქ. მარშავა<br>მ. მინდორაშვილი<br>მ. ხმალაძე<br>ნ. აბესაძე |
| | ფინანსური აღრიცხვა | 10 | 250 | 30 | 60 | 160 | ბუღალტერიული აღრიცხვის საფუძვლები | III შემოდგომა | ე. ხარაბაძე |
| | მენეჯმენტის საფუძვლები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | IV გაზაფხული | დ. ნარმანია<br>ე. ჩოხელი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მარკეტინგი 1 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | IV გაზაფხული | ნ. თოდუა |
| | მარკეტინგი 2 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგი 1 | V შემოდგომა | ნ. თოდუა |
| | საერთაშორისო მარკეტინგი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგი 1 | VI გაზაფხული | ნ. თოდუა |
| | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | V შემოდგომა | ა. ჩუთლაშვილი<br>ხ. ბარბაქაძე |
| | კორპორაციათა ფინანსები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | VI გაზაფხული | ხ. ბარბაქაძე |
| | საჯარო ფინანსები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | VII შემოდგომა | მ. ჩიკვილაძე<br>ე. ჯგერენაია<br>ი. არჩვაძე<br>თ. კასრაძე |
| | ოპერაციათა მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მენეჯმენტის საფუძვლები | V შემოდგომა | ე. ჩოხელი<br>ზ. რამიშვილი |
| | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | VI გაზაფხული | ნ. პაიჭაძე<br>ნ. ხარაძე |
| | ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | 5 | 125 | 0 | 45 | 80 | წინაპირობის გარეშე | I შემოდგომა | დ. სიჭინავა<br>რ. სეთურიძე<br>თ. მელქოშვილი<br>ვ. გოგიჩაიშვილი<br>მ. ტიკიშვილი<br>გ. ნაკაშიძე |
| | ბიზნესის სამართალი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | VI გაზაფხული | ვ. ზაალიშვილი |
| | საერთაშორისო ბიზნესი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბიზნესის ადმინისტრირების | 7 შემოდგომა | თ. შენგელია<br>უ. სამადაშვილი<br>ხ. ბერიშვილი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | საფუძვლები 2 | | ლ. ყორღანაშვილი<br>შ. შაბურიშვილი<br>დ. სიხარულიძე |
| სულ | | 95 | | | | | | | |
| | არჩევითი მოდულები (შვიდი მოდულიდან სტუდენტი ირჩევს ერთს) | | | | | | | | |
| | მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი | 25 | | | | | | VII შემოდგომა<br>VIII გაზაფხული | |
| | მოდული: მარკეტინგი | 25 | | | | | | VII შემოდგომა<br>VIII გაზაფხული | |
| | მოდული: მენეჯმენტი | 25 | | | | | | VII შემოდგომა<br>VIII გაზაფხული | |
| | მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე | 25 | | | | | | VII შემოდგომა<br>VIII გაზაფხული | |
| | მოდული: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი | 25 | | | | | | VII შემოდგომა<br>VIII გაზაფხული | |
| | მოდული: საერთაშორისო ბიზნესი | 25 | | | | | | VII შემოდგომა<br>VIII გაზაფხული | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მოდული: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი | 25 | | | | | | VII შემოდგომა VIII გაზაფხული | |
| | | | | | | | | | |
| | მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი | | | | | | | | |
| | ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | VII შემოდგომა | ი. ჭილაძე |
| | ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | VII შემოდგომა | მ. ვარდიაშვილი |
| | ეკონომიკური ანალიზი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | VIII გაზაფხული | მ. ჯიქია |
| | აუდიტის საფუძვლები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური აღრიცხვა (10 კრედიტი) | VIII გაზაფხული | ნ. სრესელი |
| | მმართველობითი აღრიცხვა I | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | VIII გაზაფხული | ი. ჭილაძე |
| სულ | | 25 | | | | | | | |
| | მოდული: მარკეტინგი | | | | | | | | |
| | მარკეტინგული კვლევის პრინციპები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგი 1 | VII შემოდგომა | ე. უროტაძე |
| | საცალო ვაჭრობა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგი 1 | VIII | ნ. თოდუა |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | გაზაფხული | ბ. მღებრიშვილი |
| | რეკლამა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგი 1 | VIII გაზაფხული | ჩ. ჯაში |
| | ინტერნეტ მარკეტინგი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგი 1 | VII შემოდგომა | ნ. თოდუა |
| | გაყიდვების საფუძვლები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგი 1 | VIII გაზაფხული | ნ. თოდუა<br>მ. სეთური |
| სულ | | 25 | | | | | | | |
| | მოდული: მენეჯმენტი | | | | | | | | |
| | პრაქტიკული მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 (26+4) | 80 | წინაპირობის გარეშე | VII შემოდგომა | ე. ჩოხელი |
| | სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები | | 125 | 15 | 30 | 80 | მენეჯმენტის საფუძვლები | VII შემოდგომა | ე. ჩოხელი<br>გ. ღაღანიძე<br>ბ. რამიშვილი |
| | ორგანიზაციული ქცევა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მენეჯმენტის საფუძვლები | VII შემოდგომა | ნ. ფარესაშვილი |
| | პროექტების მართვა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მენეჯმენტის საფუძვლები | VIII გაზაფხული | გ. ქეშელაშვილი<br>გ. შიხაშვილი<br>ვ. კიკუტაძე |
| | საზოგადოებრივი ადმინისტრირება | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მენეჯმენტის საფუძვლები | VIII გაზაფხული | ვ. კიკუტაძე |
| | საერთაშორისო მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მენეჯმენტის საფუძვლები | VIII გაზაფხული | დ. ნარმანია<br>ე. ჩოხელი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 25 | | | | | | | |
| | მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე | | | | | | | | |
| | საბანკო საქმე 1 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | VII შემოდგომა | ი. კოვზანაძე |
| | საბანკო საქმე 2 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | საბანკო საქმე 1 | VIII გაზაფხული | ი. კოვზანაძე |
| | სადაზღვევო საქმე | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | VII შემოდგომა | ნ. კაკაშვილი |
| | გადასახადები და დაბეგვრა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსიტიტები და ბაზრები | VIII გაზაფხული | მ. ჩიკვილაძე<br>ნ. კაკაშვილი |
| | ფასიანი ქაღალდების ბაზარი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | VIII გაზაფხული | ხ. ბარბაქაძე<br>დ. ასლანიშვილი |
| სულ | | 25 | | | | | | | |
| | მოდული: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი | | | | | | | | |
| | შესავალი ტურიზმში | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | VII შემოდგომა | ნ. კაციტაძე<br>ი.ხელაშვილი |
| | ტურიზმის ეკონომიკა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მაკროეკონომიკის პრინციპები | VII შემოდგომა | მ. ხოხობაია |
| | შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | VIII გაზაფხული | ნ. კაციტაძე |
| | ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმში | VIII გაზაფხული | ვ. არღუთაშვილი |
| | საოჯახო ბიზნესის | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმში | VIII | ვ. არღუთაშვილი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მართვა ტურიზმში | | | | | | | გაზაფხული | |
| სულ | | 25 | | | | | | | |
| | მოდული: საერთაშორისო ბიზნესი | | | | | | | | |
| | ევროკავშირის ბიზნესის გარემო | 5 (არჩევითი) | 125 | 15 | 30 | 80 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 | VII შემოდგომა | ლ. ყორღანაშვილი |
| | საქმიანი თამაშები | | 125 | 15 | 30 | 80 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2; ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2; მიკროეკონომიკის პრინციპები | VII შემოდგომა | ჟ. თოლორდავა |
| | საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბიზნესის ადინისტრირების საფუძვლები 2 | VII შემოდგომა | თ.შენგელია ლ. ხიხაძე |
| | საერთაშორისო ბიზნესის მართვა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 | VIII გაზაფხული | ხ. ბერიშვილი |
| | ორგანიზაციის თეორია | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | VIII გაზაფხული | ლ. ქადაგიშვილი |
| | კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 | VIII გაზაფხული | ლ. ქადაგიშვილი გ. ბედიანაშვილი |
| სულ | | 25 | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მოდული: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი | | | | | | | | |
| | ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება VB.NET | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | VII შემოდგომა | ზ. მუნჯიშვილი |
| | საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები ბიზნესში | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | VIII გაზაფხული | მ. მაღრაძე |
| | ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების თეორია და დაპროექტება | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | VII შემოდგომა | ე. ლაგვილავა |
| | მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | VIII გაზაფხული | თ. მელქოშვილი ც. ჯაფიაშვილი |
| | ფირმის | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ინფორმატიკა | 8 | მ. მაღრაძე |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მონაცემების ელექტრონული დამუშავება | | | | | | ეკონომიკასა და ბიზნესში | გაზაფხული | |
| სულ | | 25 | | | | | | | |
| | დამატებითი სპეციალობის სასწავლო კურსები | | | | | | | | |
| სულ | | 60<br>(10 კრედიტი თი-თოეულ სემესტრში) | | | | | | III,V,VII შემოდგომა<br>IV,VI,VIII გაზაფხული | |
| პრაქტიკა | | | | | | | | | |

| | | ECTS კრედიტები | საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა | დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | პრაქტიკის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი/ სემესტრები | პრაქტიკის ხელმძღვანელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პრაქტიკა | 5 | 75 | 50 | სავალდებულო | ა) სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ | VIII გაზაფხული | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | სემესტრში<br>ბ) შესაბამისი მოდულის 5 კრედიტი | | |
| | | | | | | | | |

საბაკალავრო ნაშრომი

| | საბაკალავრო ნაშრომი | ECTS კრედიტები | საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა | დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საბაკალავრო ნაშრომის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი/ სემესტრები | საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | - | - | - | - | - | - | - | - |
| სულ ძირითად სპეციალობაზე | | 180 | | | | | | |
| დამატებითი სპეციალობა | | 60 | | | | | | |
| სულ: | | 240 | | | | | | |

ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი სპეციალობა (მაინორი)

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

სასწავლო გეგმა
ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება
საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება - დამატებითი სპეციალობა (მაინორი)

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი თემურ შენგელია, პროფესორი ელენე ხარაბაძე, პროფესორი დემურ სიჭინავა, პროფესორი იოსებ ხელაშვილი.

აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება #57

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011-2012

| სასწავლო კურსები / მოდულები | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა | | | დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის) | ლექტორი/ლექტორები |
| | | | სულ | ლექცია | სემინარი/პრაქტიკული | | | | |
| | ფინანსური აღრიცხვა | 10 | 125 | 30 | 60 | 160 | ბუღალტრული აღრიცხვის | III შემოდგომა | ე. ხარაბაძე |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | საფუძვლები | | |
| | მენეჯმენტის საფუძვლები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | V შემოდგომა | დ. ნარმანია<br>ე. ჩოხელი |
| | მარკეტინგი 1 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | IV გაზაფხული | ნ. თოდუა |
| | მარკეტინგი 2 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგი 1 | V შემოდგომა | ნ. თოდუა |
| | საერთაშორისო მარკეტინგი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგი 1 | VI გაზაფხული | ნ. თოდუა |
| | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | IV გაზაფხული | ა. ჩუთლაშვილი<br>ხ. ბარბაქაძე |
| | კორპორაციათა ფინანსები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | VI გაზაფხული | ხ. ბარბაქაძე |
| | საჯარო ფინანსები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | VIII გაზაფხული | მ. ჩიკვილაძე<br>ე. ჯგერენაია<br>ი. არჩვაძე<br>ი. კასრაძე |
| | ოპერაციათა მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მენეჯმენტის საფუძვლები | VIII გაზაფხული | ე. ჩოხელი<br>ბ. რამიშვილი |
| | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | VII შემოდგომა | ნ. პაიჭაძე<br>ნ. ხარაძე |
| | საერთაშორისო ბიზნესი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები<br><br>(10 კრედიტი | VII შემოდგომა | თ. შენგელია<br>უ. სამადაშვილი<br>ხ. ბერიშვილი<br>ლ. ყორღანაშვილი<br>შ. შაბურიშვილი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის ან 5 კრედიტი ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისთვის) | | დ. სიხარულიძე |
| სულ: | | 60 | | | | | | | |

ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი სპეციალობა (მაინორი)
(თსუ სხვა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის)
სასწავლო გეგმა
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი თემურ შენგელია, პროფესორი ელენე ხარაბაძე, პროფესორი დ. სიჭინავა, პროფესორი ი.ხელაშვილი.

აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება #57
პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2017-2018

| სასწავლო კურსები / მოდულები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა | დამოუკიდებელი მუშაობის საათები | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის) | ლექტორი/ლექტორები |

| | | | სულ | ლექცია | სემინარი/პრაქტიკული | ს რაოდენობა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | III შემოდგომა | თ. შენგელია<br>უ. სამადაშვილი<br>ლ. ქადაგიშვილი |
| | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 | IV გაზაფხული | თ. შენგელია<br>უ. სამადაშვილი<br>ლ. ქადაგიშვილი |
| | მენეჯმენტის საფუძვლები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | III შემოდგომა | დ. ნარმანია<br>ე. ჩოხელი |
| | ოპერაციათა მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მენეჯმენტის საფუძვლები | V შემოდგომა | ე. ჩოხელი<br>ბ. რამიშვილი |
| | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | IV გაზაფხული | ე. ხარაბაძე |
| | ფინანსური აღრიცხვა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | VI გაზაფხული | ე. ხარაბაძე |
| | მარკეტინგი 1 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | V შემოდგომა | ნ. თოდუა |
| | მარკეტინგი 2 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგი 1 | VI გაზაფხული | ნ. თოდუა |
| | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | 5 | 45 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | VII შემოდგომა | ა. ჩუთლაშვილი<br>ხ. ბარბაქაძე |
| | კორპორაციათა ფინანსები | 5 | 45 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | VIII გაზაფხული | ხ. ბარბაქაძე |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საერთაშორისო მარკეტინგი (არჩევითი) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგი 1 | VII შემოდგომა | ნ. თოდუა |
| | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (არჩევითი) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობის გარეშე | VII შემოდგომა | ნ. პაიჭაძე<br>ნ. ხარაძე |
| | საერთაშორისო ბიზნესი (არჩევითი) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2 | VIII გაზაფხული | თ. შენგელია<br>უ. სამადაშვილი<br>ხ. ბერიშვილი<br>ლ. ყორღანაშვილი<br>შ. შაბურიშვილი<br>დ. სიხარულიძე |
| | საჯარო ფინანსები (არჩევითი) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები | VIII გაზაფხული | მ. ჩიკვილაძე<br>ე. ჯგერენაია<br>ი. არჩვაძე<br>თ. კასრაძე |
| | მმართველობითი აღრიცხვა I (არჩევითი) | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | VIII გაზაფხული | ი. ჭილაძე |
| | შენიშვნა: მე-7 და მე-8 სემესტრებში სტუდენტი შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან ირჩევს ერთს. | | | | | | | | |
| სულ: | | 60 | | | | | | | |

## 2. ეკონომიკა

საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება: ეკონომიკა/Economics
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი/Bachelor of Economics
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი
სწავლების ენა: ქართული
პროგრამის კოორდინატორი: პროფ. ნოდარ ხადური

პროგრამის ხელმძღვანელები: პროფ. იური ანანიაშვილი, პროფ. რევაზ გველესიანი, პროფ. ქეთევან მარშავა, პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი, პროფ. ეთერ ხარაიშვილი, პროფ. მირიან ტუხაშვილი, ასოც. პროფ. ნინო პაპაჩაშვილი

საბაკალავრო პროგრამის მიზანი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრების; საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის; ინოვაციური სწავლებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარების; აკადემიური თავისუფლების დაცვის; სტუდენტისა და პროფესორის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის; ცოდნის გენერირებისა და გადაცემის; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების; საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის განვითარების; თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირსეული წევრობის მისაღწევად მიზნად ისახავს ეკონომიკაში ინტეგრირებული, სისტემური, ფუნდამენტური თეორიული ცოდნის, დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც:

- აქვთ ცოდნა ეკონომიკის სფეროში მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეებზე; ფლობენ ცოდნას ეროვნული შემოსავლის წარმოების, განაწილების და მოხმარების, აგრეთვე დანაზოგების, ინვესტიციების, სავალუტო კურსის, საგადასახდელო ბალანსის შესახებ. იციან და აცნობიერებენ შრომის, საქონლის, მომსახურების და ფინანსურ ბაზრებზე ფირმის და შინამეურნეობის ქცევაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას. აქვთ ცოდნა საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობის კანონზომიერებების, ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. ფლობენ ცოდნას ეკონომიკაში რაოდენობრივი, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებისა და მოდელების შესახებ;
- გააჩნიათ შინამეურნეობის ქცევის, ფირმის საქმიანობის, ბაზრის ფუნქციონირების, ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერების და დასკვნის უნარი; შეუძლიათ ეკონომიკური ანალიზის პროცესში სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენება;
- შეუძლიათ საკუთარი დასკვნების საჯარო წარდგენა, შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით მათი მკაფიო დასაბუთება;
- ზოგად კომპეტენციასთან ერთად, გააჩნიათ სპეციალური ცოდნა და კომპეტენციები, რომლებსაც მიიღებენ შესაბამის მოდულებში (ეკონომიკური პოლიტიკა, მაკროეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა, მენეჯერული ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა, ეკონომიკური სტატისტიკა, შრომის ეკონომიკა) სწავლისას;
- აქვთ ეკონომიკის ისეთი ცოდნა, რომელიც იძლევა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
- აქვთ ცოდნა და უნარები, რომლებიც საშუალებას აძლევს დასაქმდეს როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო, კერძო და არასამთავრობო სექტორში, ეკონომისტებად, ეკონომიკურ მრჩევლებად, მკვლევარებად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.

სწავლის  შედეგები:

ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც გააჩნია ზოგადი და დარგობრივი ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი შემდეგი მიმართულებებით:

ცოდნა და გაცნობიერება:
ზოგადი კომპეტენცია:
✓ კრიტიკულად გაიაზრებს საკითხებს;
✓ აქვს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების და ამ სისტემაში სხვა დარგების როლის შესახებ ცოდნა.
დარგობრივი კომპეტენცია:
✓ აქვს ეკონომიკის შესახებ ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებს და პრინციპებს მოთხოვნა–მიწოდების, ფასწარმოქმნის, სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების, ბაზრების ტიპების, მონოპოლიების, ოლიგოპოლიების, თავისუფალი კონკურენციის, მაკროეკონომიკური ინდიკატორების, ინფლაციის, ეკონომიკური ზრდის, უმუშევრობის, არასტაბილურობის შესახებ;
✓ იცის ეკონომიკის ძირითადი (საბაზო) ცნებები, პოსტულატები და კონცეფციები;
✓ იცის უცხო ენა, მინიმუმ B2 დონეზე;
✓ გააჩნია საბაზო ცოდნა ფუნდამენტურ და სპეციალურ ეკონომიკურ დისციპლინებში;
✓ იცის ინდივიდების, შინამეურნეობების, ფირმების, სახელმწიფოსა და საერთაშორისო სტრუქტურების მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები;
✓ იცის ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და პოლიტიკის როლი ამ სისტემაში;
✓ იცის განსხვავებული ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების თავისებურებები;
✓ გაცნობიერებული აქვს ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმი მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეებზე;
✓ შეუძლია თანამედროვე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესებისა გააზრება;
✓ გაცნობიერებული აქვს ეკონომიკური ზრდის პრობლემები და შესაძლებლობები; შეუძლია სათანადო მაგალითების მოყვანა;
✓ აცნობიერებებს გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებს და ძირითად კანონზომიერებებს, მათ დადებით და უარყოფით მხარეები;
✓ ფლობს ეკონომიკური ანალიზისთვის აუცილებელ თვისებრივ, სტატისტიკურ და რაოდენობრივ მეთოდებს;
✓ ფლობს სათანადო თეორიული ეკონომიკური ცოდნის ბაზას პროფესიონალური უნარ–ჩვევების განვითარება–გაღრმავებისთვის;
✓ აქვს ცოდნა, რომელიც სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
ზოგადი კომპეტენცია:
✓ კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
✓ აქვს ტექნოლოგიური მოწყობილობების, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის უნარი, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი; შეუძლია იხელმძღვნელოს ინტერნეტის მონაცემთა ბაზებით;
✓ გააჩნია პრობლემის იდენტიფიცირების უნარი;

- ✓ ასაბუთებს და იცავს გადაწყვეტილების მიღების პრინციპებს;
- ✓ ადგენს დროით ჩარჩოებს დასახული მიზნის მისაღწევად;
- ✓ ანაწილებს შესასრულებელ სამუშაოს დაგეგმილ ვადებში.
- ✓ შეუძლია გარემოსთან ადაპტაცია;
- ✓ ახდენს საკუთარი დასკვნების საჯარო დემონსტრირებას, შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით მათ მკაფიო დასაბუთებას;
- ✓ შეუძლია საკითხის დასმა და მოსაზრებათა შეჯერებით საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბება;
- ✓ შეუძლია გუნდურად და დამოუკიდებლად მუშაობა.

დარგობრივი კომპეტენცია:

- ✓ ეკონომიკურ არგუმენტებს და მეთოდებს იყენებს კონკრეტული ეკონომიკური პრობლემის შესასწავლად და გადასაჭრელად;
- ✓ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ახორციელებს კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ეკონომიკურ პროექტებს;
- ✓ შეუძლია ეკონომიკური და სოციალური მონაცემების მოპოვება, თავმოყრა, დაჯგუფება, შერჩევა და შეფასება თეორიისა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით და მათი მონიტორინგი;
- ✓ შეუძლია განსაზღვროს ეკონომიკური და სოციალური მონაცემების წყაროები და მათი მოპოვების ადგილი;
- ✓ ახორციელებს საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მოხმარების პროგნოზირებას, რომელიც ეყრდნობა ადრე შემუშავებულ და გამოყენებულ მონაცემებს და ზოგად ეკონომიკურ და დარგობრივ (წარმოების) სპეციფიკურ პირობებს;
- ✓ შეუძლია ფინანსური (როგორც ფირმის, ისე დარგისა და სახელმწიფოს დონეზე) მონაცემების დამუშავება, დანახარჯებისა და შემოსავლების ანალიზი;
- ✓ შეუძლია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე, საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსების ანალიზი;
- ✓ შეუძლია იმ ფაქტორთა ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ სამუშაო ძალის მონაწილეობას, დასაქმებას, ხელფასებს, უმუშევრობას და სამუშაო ძალის ბაზრის ფუნქციონირების სხვა შედეგებს;
- ✓ შეუძლია მათემატიკურ ფორმულებისა და მეთოდების ეკონომიკურ ანალიზსა და პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღებაში გამოყენება;
- ✓ ეკონომიკის სფეროს შესაბამისი სპეციალური კომპეტენციის ფარგლებში ავლენს კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის უნარ-ჩვევებს;
- ✓ მითითების შესაბამისად ახორციელებს კვლევას, მონაცემთა მონიტორინგს, ინფორმაციის გაანალიზებას და ამზადებს ანგარიშს და გეგმას ეკონომიკური და ბიზნესპრობლემების გადასაწყვეტად;
- ✓ ეკონომიკური ქცევისა და ნიმუშების (მაგალითების) გაანალიზების, ახსნისა და პროგნოზირებისათვის შეუძლია ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენება;
- ✓ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკური რჩევებისა და პოლიტიკის ფორმულირებისა და შეფასებისას როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში;
- ✓ შეუძლია დინამიკურ ეკონომიკურ კონიუნქტურასთან ადაპტაცია;
- ✓ შეუძლია შეისწავლოს ცალკეული კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები;

✓ იყენებს თანამედროვე ტექნიკას და ტექნოლოგიებს, როგორც სწავლის პროცესში, ისე შეხედულებების, მოსაზრებების გამოხატვისა და პრეზენტაციისთვის;
დასკვნის უნარი
ზოგადი კომპეტენცია:
✓ აანალიზებს მონაცემებს და სიტუაციებს სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით;
✓ გააჩნია თანმიმდევრული/ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევები;
✓ აქვს მოვლენების სათანადო დონეზე გაგების, შესწავლისა და ახსნის შესაძლებლობა, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
✓ შეუძლია დასკვნების გაკეთება და დასაბუთება.
დარგობრივი კომპეტენცია:
✓ შეუძლია სოციალურ–ეკონომიკური მონაცემების და ეკონომიკური სიტუაციის ეკონომიკური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით შეფასება;
✓ შეუძლია დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
✓ შეუძლია ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, კონცეფციების და მოდელების შესახებ საკუთარი დასკვნების გაკეთება, მათი დასაბუთება სათანადო ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან;
✓ გააჩნია ეკონომიკური მოვლენებისა და ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი და კომპეტენცია;
✓ შეუძლია კვლევის საგნის, შესაბამისი მეთოდების რანგირება დასკვნების გამოტანის მიზნით;
✓ შეუძლია იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების შეფასება, რომლებიც ეკონომიკას და ფინანსებს ეხება;
✓ შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს ეკონომიკური თეორიები და პრინციპები, ეკონომიკის მოდელები, მათი ანალიზის მეთოდების მახასიათებლები.

კომუნიკაციის უნარი
ზოგადი კომპეტენცია:
✓ შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი და ზეპირი ანგარიშების მომზადება, გადასცემს ინფორმაციას სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს ზეპირად ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
✓ წერილობით და ზეპირად გამოხატავს აზრს სხვადასხვა მოვლენისა და პროცესის შესახებ ეკონომიკური არგუმენტებით;
✓ არა მხოლოდ ეკონომისტებისათვის გასაგებად აყალიბებს ეკონომიკურ ინფორმაციას როგორც წერილობით, ისე ზეპირად ქართულ და უცხო (მ.შ. ინგლისურ) ენებზე;
✓ პრეზენტაციის პროცესში შეუძლია ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება.

დარგობრივი კომპეტენცია:

✓ გასაგებად აყალიბებს ეკონომიკურ მოსაზრებებს ეკონომისტებისათვის როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით ქართულ და უცხო ენებზე;
✓ შეუძლია თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების პრეზენტაციის, კამათის და შეჯამების პროცესში გამოყენება.
✓ შეუძლია ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, კონცეფციების და მოდელების შესახებ საკუთარი დასკვნების საჯარო პრეზენტაცია, მათი მკაფიო დასაბუთება სათანადო ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან.

სწავლის უნარი
ზოგადი კომპეტენცია:
✓ აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს თანმიმდევრულად და მრავალმხრივად; ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს;
✓ შეუძლია  საკითხების გამარტივება და შესაბამისობის შენარჩუნება;
✓ შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა;
✓ ცოდნის გადამუშავებისა და წარმოჩენის პროცესში ავლენს სათანადო აზროვნების, მეხსიერების, აღქმის და მეტყველების უნარებს (კოგნიტურ უნარებს);
✓ შეძენილი ცოდნის ბაზაზე შეუძლია ევრისტიკული სტრატეგიის გამოყენება  9შემოკლებული გზა რთული ამოცანის გადასაჭრელად);
✓ შეძენილი ცოდნის ბაზაზე პრობლემების (როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული) გადაჭრისას შეუძლია ანალოგიურ სიტუაციაში მიღებული გადაწყვეტილების გახსენება.
დარგობრივი კომპეტენცია:
✓ ეკონომიკური პრობლემების შესწავლისას შეუძლია ალტერნატიულ მიდგომების  გამოყენება შეზღუდვების  და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
✓ აქვს უნარი, დასვას კონკრეტული ეკონომიკური საკითხი (პრობლემა) და განახორციელოს გამოკვლევა;
✓ იცის და იყენებს  კვლევის სათანადო მეთოდებს;
✓ შეუძლია კვლევიდან შესაბამისი დასკვნის გამოტანა;
✓ აყალიბებს დასკვნებს, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს შემდგომი კვლევის სფეროებს;
✓ იცის, როგორ გამოიყენოს ეკონომიკური პრინციპები და მოდელები, კომპლექსური სისტემის ძირითადი მახასიათებლები სწავლის პროცესში;
✓ შეუძლია ეკონომიკური ცოდნის ბაზაზე შეაფასოს საჯარო გადაწყვეტილებების ეკონომიკური ეფექტიანობა;
✓ შესწავლილი ეკონომიკური საკითხების ბაზაზე იღებს სათანადო საფუძველს ეკონომიკური ცოდნის შემდგომი გაღრმავებისათვის;
✓ შეძენილი ეკონომიკური ცოდნის საფუძველზე მომზადებულია სათანადო პრაქტიკული ქცევისათვის.

ღირებულებები
ზოგადი კომპეტენცია:
✓ შეუძლია ღირებულებების ფორმირებისა და მათი დამკვიდრების პროცესში მონაწილეობის მიღება;
✓ აქვს ინტერპერსონალური ურთიერთობების, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარი.

დარგობრივი კომპეტენცია:
- ✓ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა საბაზრო ეკონომიკის (ღირებულებების) და ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში მონაწილეობის შესახებ;
- ✓ ეკონომიკური საკითხების განხილვისას აქვს ინტერპერსონალური ურთიერთობების, ჯგუფური მუშაობის, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარი;
- ✓ შეუძლია პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილების შეფასება;
- ✓ ავითარებს გარემოსადმი დამოკიდებულებას და ხედვას მდგრადი განვითარებისადმი;
- ✓ იცის, რას მიანიჭოს უპირატესობა სამუშაოს მოძიებისა და მუშაობის პროცესში;
- ✓ შეუძლია შეაფასოს რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
- ✓ შეუძლია შეაფასოს ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის დინამიკა;
- ✓ აქვს შეხედულებები საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობაზე;
- ✓ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სახელმწიფოს როლის შესახებ ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველყოფაში;
- ✓ აქვს გარკვეული ხედვა შემოსავლების განაწილების უთანაბრობის შესახებ;
- ✓ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სიღარიბის შესახებ;
- ✓ შეუძლია შეაფასოს სიღარიბის დაძლევის საერთაშორისო, სახელმწიფო და სხვა პროგრამები;
- ✓ აქვს შეხედულებები პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების როლზე;
- ✓ შეუძლია თვითშეფასება.

მოდულები

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ბაკალავრების მომზადებას მოდულებში, რომლებშიც 25 კრედიტის ფარგლებში ხდება ეკონომიკის გარკვეული მიმართულებით ცოდნის გაღრმავება და უნარ–ჩვევების დაუფლება. ასეთი მოდულების კურსდამთავრებულები, გარდა საბაკალავრო პროგრამის ზოგადი შედეგებისა, დამატებით მიიღებენ დარგობრივ ცოდნასა და პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებს მოდულების მიმართულებებით:

მოდული „ეკონომიკური პოლიტიკა“
მოდული ,,მაკროეკონომიკა“
მოდული ,,საერთაშორისო ეკონომიკა“
მოდული „მენეჯერული ეკონომიკა“
მოდული „ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა“
მოდული ,,ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“
მოდული ,,შრომის ეკონომიკა“

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

1.ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი;
3. წერითი მუშაობის მეთოდი;
4. პრაქტიკული მუშაობის მეთოდები;
5. დისკუსია/დებატები;
6. ევრისტიკული მეთოდი;
7. შემთხვევის ანალიზი (Case study);
8. გონებრივი იერიში (Brain storming);
9. დემონსტრირების მეთოდი;
10. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
11. ახსნა–განმარტების მეთოდი;
12. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
13. ჯგუფური მუშაობის მეთოდი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. შედეგების შეფასების სხვადასხვა მეთოდი მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

| ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან | შეფასება | შეფასების კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| 91% და მეტი | (A) ,,ფრიადი“ | დადებითი |
| 81-90% | (B) ,,ძალიან კარგი“ | დადებითი |
| 71-80% | (C) ,,კარგი “ | დადებითი |
| 61-70% | (D) ,,დამაკმაყოფილებელი“ | დადებითი |
| 51-60% | (E) ,,საკმარისი“ | დადებითი |
| 41–50% | (FX) ,,ვერ ჩააბარა“ | უარყოფითი |
| 40% და ნაკლები | (F) ,,ჩაიჭრა“ | უარყოფითი |

სასწავლო გეგმა (იხილეთ დანართი 1)
სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:
50 კრედიტი – საფაკულტეტო სასწავლო კურსები;
10 კრედიტი – თავისუფალი;
120 კრედიტი – მაპროფილებელი სასწავლო კურსები, მ.შ. 25 კრედიტი მოდულის სასწავლო კურსები; 5 კრედიტი – პრაქტიკა;
60 კრედიტი – დამატებითი სპეციალობისათვის.

დამატებითი (მაინორ) სპეციალობა „ეკონომიკა" ძირითადი სპეციალობის „ბიზნესის ადმინისტრირება" სტუდენტებისთვის

ძირითადი სპეციალობის „ბიზნესის ადმინისტრირების" სტუდენტებს დამატებითი სპეციალობის – ,,ეკონომიკის" დაუფლების შესაძლებლობას აძლევს 60 კრედიტის დაგროვება. კრედიტები განაწილებულია ძირითად სავალდებულო კურსებზე. ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სპეციალობის სტუდენტებისთვის დამატებითი სპეციალობის სასწავლო გეგმა აგებულია იმის გათვალისწინებით, რომ მათ კურიკულუმში ჩართულია მიკროეკონომიკის პრინციპები და მაკროეკონომიკის პრინციპები (ამიტომ აღარ ხდება შეთავაზება); დანარჩენი სასწავლო კურსები კი აფართოებს ბიზნესის ეკონომიკის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებებით:

ცოდნა და გაცნობიერება:

ზოგადი კომპეტენცია:

- ✓ გაიაზრებს საკითხებს; შეუძლია მათი დასმა და საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბება;
- ✓ კომპლექსურად აფასებს მოვლენებს.

დარგობრივი კომპეტენცია:

- ✓ აქვს ეკონომიკის შესახებ ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და კომპლექსურად აცნობიერებს ეკონომიკის საკითხებს;
- ✓ თანმიმდევრულად და გამართულად აყალიბებს ეკონომიკის ძირითად (საბაზო) ცნებებს, პოსტულატებს და კონცეფციებს; განმარტავს ეკონომიკის ძირითად დეფინიციებს; აღწერს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ძირითად კანონზომიერებებს; შეუძლია მათი ურთიერთდაკავშირება და რეალობასთან მისადაგება;
| სულ: | | | 45 სავალდებულო + 15 არჩევითი = 60 კრედიტი | | | | | | | |
| შენიშვნა: მაგისტრანტი ირჩევს 15 კრედიტს. 5 კრედიტს – გაზაფხულის (II) სემესტრში, 10 კრედიტს – შემოდგომის (III) სემესტრში. | | | | | | | | | | |
| პროგრამისთვის სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი;<br>მოდულისთვის სავალდებულო კურსები - სულ 45 კრედიტი, მ.შ. პრაქტიკა – 5 კრედიტი;<br>არჩევითი კურსები - 15 კრედიტი (თითოეული მოდულისთვის);<br>კვლევითი პროექტი (სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი) – 5 კრედიტი;<br>სამაგისტრო ნაშრომი - 25 კრედიტი | | | | | | | | | | |
| სულ: 120 | | | | | | | | | | |

## 7. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვანი პროგრამა „ეკონომიკა“

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში, Master’s Program in Economics at International School of Economics at Tbilisi State University (ISET). (www.iset.ge)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი ; Master of Economics
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისაგან. იმის გამო, რომ პროფესორებს შორის უმრავლესობა უცხოელია, მთელი სასწავლო წელი დაყოფილია 5 მინისემესტრად. თითოეული მინისემესტრის ხანგრძლივობაა 8 კვირა.

პირველი წელი (სავალდებულო საგნები):
• მიკროეკონომიკა, 15 კრედიტი
• მაკროეკონომიკა, 15 კრედიტი
• მათემატიკა ეკონომისტებისათვის, 15 კრედიტი
• სტატისტიკა და ეკონომეტრიკა, 15 კრედიტი
სულ წლის განმავლობაში: 60 ECTS კრედიტი.

მეორე წელი (არჩევითი საგნები):
სტუდენტმა მე-2 სასწავლო წლის განმავლობაში უნდა დააგროვოს 60 კრედიტი. აქედან 39 ECTS კრედიტი მოდის სხვადასხვა საგანზე, 21 ECTS სამაგისტრო ნაშრომზე.
მეორე სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტს აქვს საშუალება სწავლა გაიღრმავოს ენერგეტიკის ეკონომიკის, საერთაშორისო ვაჭრობისა და რეგიონალურ ეკონომიკის ან მაკროეკონომიკის მოდულებში.
კრედიტთა საერთო რაოდენობა ორი სასწავლო წლის მანძილზე 120-ია.

სწავლების ენა:
ინგლისური ( შეთანხმებულია ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დაარსებისას 2006 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან).

სამაგისტრო პროგრამის მიზანი:
- მაღალკვალიფიციური ეკონომისტების აღზრდა, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ეკონომიკის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის ცოდნით;
- ეკონომიკური განათლებისა და სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე წარმართვა სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტერესების შესაბამისად;
- ეკონომიკის სწავლებისადმი ახალი მიდგომების ჩამოყალიბება სამხრეთი კავკასიის რეგიონში;
- სწავლებისა და ეკონომიკური კვლევის ინოვაციური მეთოდების დანერგვა სამხრეთი კავკასიის რეგიონში;
- ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:
- ბაკალავრის ხარისხის ფლობა ნებისმიერი აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლიდან;
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;

- მათემატიკასა და ინგლისურში შიდა მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა აბიტურიენტებს სთავაზობს მოსამზადებელ კურსებს მათემატიკასა და ინგლისურში;
- ინგლისური ენის ფლობა (B2 დონეზე);
- გასაუბრების წარმატებით გავლა.

სწავლის შედეგი (ზოგადი და დარგობრივი):

ცოდნა:

მიკრო და მაკრო ეკონომიკის, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის, ეკონომიკური გეოგრაფიის, ბუნებრივი რესურსების გეოგრაფიის, ენერგეტიკის ეკონომიკის, შრომის ეკონომიკის, მონეტარული და პოლიტიკური ეკონომიკის, რეგიონალური ინტეგრაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე პრინციპების, თანამედროვე ეკონომიკური თეორიებისა და მეთოდების სიღრმისეული ცოდნა;

ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვეთა და მკაფიოდ ჩამოყალიბება;

ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

ეკონომიკური პრობლემების შეფასების კრიტერიუმების შერჩევა;

ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზების ალტერნატივების განსაზღვრა და მათგან ოპტიმალურის შერჩევა;

ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნა.

გაცნობიერება:

სტუდენტები იძენენ ღრმა, სისტემურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ მისცემს საშუალებას მოახდინონ:

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შეფასება;

გადაწყვეტილებების მიღება სხვადასხვა რესურსის ოპტიმალურ გამოყენებასთან დაკავშირებით;

საერთაშორისო და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების შეფასება, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა და ქართულ რეალობასთან მათი მისადაგება;

სახელმწიფოს როლის გაცნობიერება ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საქმეში, იმ პრობლემების დაძლევაში, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას უშლის ხელს;

საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთებულად წარმოდგენა ფაქტობრივი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და ობიექტური არგუმენტების მოტანით;

სერიოზული სირთულის ეკონომიკური ტექსტების თარგმნა და გაანალიზება;

თეორიული ვარაუდების შედარებითი ანალიზი და ამგვარი ანალიზის შედეგების მკაფიოდ ჩამოყალიბება;

ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების უნარი, ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება;

თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენება;
პრაქტიკული პრობლემების მულტიდისციპლინური მიდგომებით გადაჭრა;
ახალი მიდომების ფორმირება;
ეკონომიკის სხვადასხვა დარგში კვლევების ჩატარება;
უახლესი მიდგომების, მეთოდებისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით მონაცემთა გაანალიზება და დასკვნების გამოტანა;
მათემატიკური მიდგომების გამოყენება რეალური სიტუაციების მოდელირების, ექსპერიმენტირებისა და კვლევის გზით;
პარალელურად მოქმედი ფაქტორების ურთიერთდაკავშირება, მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება და შეფასება;
ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი. კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებისა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

დასკვნის უნარი:
სწავლის დროს მიღებული და განვითარებული ანალიტიკური უნარები სტუდენტებს საშუალებას მისცემს:
ჩაატარონ პრობლემების სიღრმისეული ანალიზი რეალურ სიტუაციებში მოქმედი მრავლობითი ფაქტორის გათვალისწინებით;
გამოიყენონ მულტიდისციპლინური მიდგომები სწორი დასკვნების გაკეთების მიზნით;
გამოაცალკევონ კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედი ფაქტორები, დაალაგონ და მოახდინონ მათი კატეგორიზაცია;
ერთმანეთისაგან გამოყონ ძირითადი და მეორეხარისხოვანი, მოახდინონ არსებული მიდგომების კრიტიკა და გამოიტანონ დასაბუთებული დასკვნები;
გამოავლინონ რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი:
საერთაშორისო გარემოში მუშაობის უნარი და შესაბამისი გამოცდილების მიღება;
ეკონომიკის დარგში უახლესი ინფორმაციის მიღების და გაცვლის გამოცდილება წამყვანი ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით;
სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტუდენტებთან, დარგის სპეციალისტებთან, ევროპელ/ამერიკელ პროფესორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთობის გამოცდილება;
მშობლიურ და უცხო ენაზე პროფესიული პრეზენტაციების წარმართვა;
დისკუსიების წარმოება, აზრის ზეპირად და წერილობით მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვა;
საკუთარი შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება, გასაგებად გამოხატვა და არგუმენტირებული კამათის უნარი;
საკუთარი დასკვნების აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით ჩამოყალიბების უნარი.

სწავლის უნარი:
სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო მასალებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობა სტუდენტს უყალიბებს უნარს გააცნობიეროს სწავლის პროცესის თავისებურებები;
სტრატეგიულად დაგეგმოს და წარმართოს სწავლის პროცესი;
შეეჩვიოს როგორც დამოუკიდებელ, ისე გუნდურ მუშაობას;
შეიძინოს საკუთარ თავზე მუშაობის, ცოდნის მუდმივად განახლების, დიდი მოცულობის ინფორმაციასთან მუშაობისა და დროითი შეზღუდვების პირობებში მუშაობისათვის საჭირო უნარები;
აქცენტი ეკონომიკაში რთული მათემატიკური მიდგომების გამოყენებისა და უახლესი თეორიების გაცნობაზე იწვევს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას სადოქტორო პროგრამების აბიტურიენტთა შორის და ზრდის დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების სადოქტორო პროგრამებში მათი წარმატებით ჩართვის შესაძლებლობას;
სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, მისი თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის განვითარებული უნარი.

ღირებულებები:
თანამედროვე დასავლური ღირებულებებისადმი ერთგულება, მათი ქართულ რეალობაში დამკვიდრების სურვილი და მზაობა;
სკოლის რეგიონალური ხასიათი და პროფესურა სხვადასხვა ქვეყნიდან სტუდენტებში აყალიბებს შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის გრძნობებს სხვა ეროვნების, მრწამსისა და ტრადიციების წარმომადგენელთა მიმართ;
მაღალი ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი და სურვილი.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ანალიტიკურ და კვლევით თანამდებობებზე. სწავლის გაგრძელების საშუალებები პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ სწავლა გააგრძელონ სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზრვარგარეთ, რაც წაადგება საქართველოში ეკონომიკური განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და ახალი აზროვნების ეკონომისტთა თაობების ჩამოყალიბებას

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:
- ლექციები;
- დისკუსიები;
- პრეზენტაციები;
- ქეისების განხილვა;
- ბრეინსტორმინგი;
- დამოუკიდებელი მუშაობა და სწავლა;
- ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაოები;

- გამოყენებითი საკვლევ პროექტებზე მუშაობა
- უახლესი ეკონომიკური ლიტერატურის, პუბლიკაციებისა და პრეზენტაციების გაცნობა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შესაბამისობა 100 ქულიან სისტემასთან
(ქულა, ნიშანი, განმარტება)

91-100; (A); „ფრიადი“
86-90; (B); „ძალიან კარგი“
81-85; (B); „ძალიან კარგი“
76-80; (C); „კარგი“
71-75; (C); „კარგი“
61-70; (D); „დამაკმაყოფილებელი“
56-60; (E); „საკმარისი“
51-55; (E); „საკმარისი“
41-50; (FX); „ვერ ჩააბარა“
0-40; (F); „ჩაიჭრა“

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
საბაკალავროპროგრამისსახელწოდება: ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში

პროგრამისხელმძღვანელი / კოორდინატორი: მოტი პერი, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის აკადემიური დირექტორი, ჰიბრუსუნივერსიტეტის პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება #57

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011-2012

| საფაკულტეტო სასწავლო კურსები / მოდულები<br>(სწავლების I წელი) |
| --- |
| საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო სასწავლოკურსები / მოდულები |

| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო(ლექცია/სემინარი)/ დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | ლექტორი/ლექტორები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12101 | მაკროეკონომიკა I | 3 | 31/44 | წინაპირობის გარეშე | I მინისემესტრი | იაროსლავა ბაბიჩი |
| 12101 | მაკროეკონომიკა II | 3 | 31/44 | მაკროეკონომიკა I | II მინისემესტრი | იაროსლავა ბაბიჩი |
| 12101 | მაკროეკონომიკა III | 3 | 31/44 | მაკროეკონომიკა II | III მინისემესტრი | იაროსლავა ბაბიჩი |
| 12101 | მაკროეკონომიკა IV | 3 | 31/44 | მაკროეკონომიკა III | IV მინისემესტრი | ადამ პელილო |
| 12101 | მაკროეკონომიკა V | 3 | 31/44 | მაკროეკონომიკა IV | V მინისემესტრი | იაროსლავა ბაბიჩი |
| 12102 | მიკროეკონომიკა I | 3 | 31/44 | | I მინისემესტრი | კარინე ტოროსიანი |
| 12102 | მიკროეკონომიკა II | 3 | 31/44 | მიკროეკონომიკა I | II მინისემესტრი | მაიკლ ფიუნციგი |
| 12102 | მიკროეკონომიკა III | 3 | 31/44 | მიკროეკონომიკა II | III მინისემესტრი | მაიკლ ფიუნციგი |
| 12102 | მიკროეკონომიკა IV | 3 | 31/44 | მიკროეკონომიკა III | IV მინისემესტრი | კარინე ტოროსიანი |
| 12102 | მიკროეკონომიკა V | 3 | 31/44 | მიკროეკონომიკა IV | V მინისემესტრი | ფლორიან ბიერმანი |
| 12103 | სტატისტიკა და ეკონომეტრიკა I | 3 | 31/44 | | I მინისემესტრი | კარინე ტოროსიანი |
| 12103 | სტატისტიკა და ეკონომეტრიკა II | 3 | 31/44 | სტატისტიკა და ეკონომეტრიკა I | II მინისემესტრი | კარინე ტოროსიანი |
| 12103 | სტატისტიკა და ეკონომეტრიკა III | 3 | 31/44 | სტატისტიკა და ეკონომეტრიკა II | III მინისემესტრი | კარინე ტოროსიანი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12103 | სტატისტიკა და ეკონომეტრიკა IV | 3 | 31/44 | სტატისტიკა და ეკონომეტრიკა III | IV მინისემესტრი | მუჰამედ ასალი |
| 12103 | სტატისტიკა და ეკონომეტრიკა V | 3 | 31/44 | სტატისტიკა და ეკონომეტრიკა IV | V მინისემესტრი | კარინე ტოროსიანი |
| 12104 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის I | 3 | 31/44 | | I მინისემესტრი | თორნიკე ქადეიშვილი |
| 12104 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის II | 3 | 31/44 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის I | II მინისემესტრი | თორნიკე ქადეიშვილი |
| 12104 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის III | 3 | 31/44 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის II | III მინისემესტრი | თორნიკე ქადეიშვილი |
| 12104 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის IV | 3 | 31/44 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის III | IV მინისემესტრი | თორნიკე ქადეიშვილი |
| 12104 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის V | 3 | 31/44 | მათემატიკა ეკონომისტებისათვის IV | V მინისემესტრი | ზაზა თევდორაძე |
| სპეციალობის (სპეციალიზაციის) სავალდებულო კურსები / მოდულები (სწავლების II წელი) | | | | | | |
| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | ლექტორი/ლექტორები |
| იმ სტუდენტებისათვის, ვინც სწავლობს საერთაშორისო ვაჭრობასა და რეგიონალურ ეკონომიკას | | | | | | |
| 11101 | საერთაშორისო ვაჭრობა I | 3 | 24/51 | | I მინისემესტრი | მაიკლ ფიუნციგი |
| 11202 | სავაჭრო პოლიტიკა | 3 | 24/51 | | II მინისემესტრი | მაიკლ ფიუნციგი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| 1110 6 | სოფლის მეურნეობის ეკონომიკა | 3 | 24/51 | | I მინისემესტრი | ადამ პელილო |
| 1130 3 | სოფლის მეურნეობის პოლიტიკა | 3 | 24/51 | | III მინისემესტრი | ადამ პელილო |
| 1120 2 | საერთაშორისო ვაჭრობა II | 3 | 24/51 | საერთაშორისო ვაჭრობა I | IV მინისემესტრი | მაიკლ ფიუნციგი |
| | | | | | | |
| იმ სტუდენტებისათვის, ვინც სწავლობს ენერგეტიკის ეკონომიკას | | | | | | |
| | | | | | | |
| 1110 4 | ხარჯი-სარგებლის ანალიზი I | 3 | 24/51 | | I მინისემესტრი | ნორბერტო პინიატი |
| 1130 1 | ხარჯი-სარგებლის ანალიზი II | 3 | 24/51 | ხარჯი-სარგებლის ანალიზი I | III მინისემესტრი | ნორბერტო პინიატი |
| 1110 3 | ენერგეტიკის ეკონომიკა I | 3 | 24/51 | | I მინისემესტრი | ნორბერტო პინიატი |
| 1140 1 | ბუნებრივი რესურსების ეკონომიკა | 3 | 24/51 | | IV მინისემესტრი | ჰანს ვეისმესი |
| | | | | | | |
| იმ სტუდენტებისათვის, ვინც სწავლობს მაკროეკონომიკას | | | | | | |
| 1120 4 | დროითი მწკრივების ანალიზი I | 3 | 24/51 | | II მინისემესტრი | მუჰამედ ასალი |
| 1130 2 | დროითი მწკრივების ანალიზი II | 3 | 24/51 | დროითი მწკრივების ანალიზი I | III მინისემესტრი | მუჰამედ ასალი |
| 1140 | ღია ეკონომიკის | 3 | 24/51 | | IV | იაროსლავა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | მაკროეკონომიკა | | | | მინისემესტრი | ბაბიჩი |
| სპეციალობის (სპეციალიზაციის) არჩევითი კურსები / მოდულები<br>(სწავლების II წელი) | | | | | | |
| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო(ლექცია/სემინარი)/ დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | ლექტორი/ლექტორები |
| 11102 | ეკონომეტრიკის უმაღლესი კურსი | 3 | 24/51 | | I მინისემესტრი | კარინე ტოროსიანი |
| 11105 | განვითარება და გარდამავალი პერიოდი I | 3 | 24/51 | | I მინისემესტრი | ნორბერტო პინიატი |
| 11106 | მექანიზმის დიზაინი | 3 | 24/51 | | I მინისემესტრი | მოტი პერი |
| 11201 | შრომის ეკონომიკა I | 3 | 24/51 | | II მინისემესტრი | მუჰამედ ასალი |
| 11203 | საჯარო სექტორის ეკონომიკა | 3 | 24/51 | | II მინისემესტრი | ნორბერტო პინიატი |
| 11304 | შრომის ეკონომიკა II | 3 | 24/51 | შრომის ეკონომიკა I | III მინისემესტრი | მუჰამედ ასალი |
| 11305 | მათემატიკის უმაღლესი კურსი | 3 | 24/51 | | III მინისემესტრი | თორნიკე ქადეიშვილი |
| 11402 | ენერგეტიკის ეკონომიკა II | 3 | 24/51 | ენერგეტიკის ეკონომიკა I | IV მინისემესტრი | მიხაილო სალნიკოვი |
| 11403 | ჯანდაცვის ეკონომიკა | 3 | 24/51 | | IV მინისემესტრი | ადამ პელილო |
| 11404 | ევროპის ეკონომიკური ინტეგრაცია | 3 | 24/51 | | IV მინისემესტრი | ჯერალდ ვილმანი |
| 1140 | ფინანსების | 3 | 24/51 | | IV | ფლორიან |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | პრინციპები | | | | მინისემესტრი | ბიერმანი |
| 11501 | უმაღლესი კურსი ფინანსებში/ ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება | 3 | 24/51 | | V მინისემესტრი | ფლორიან ბიერმანი |
| 11502 | განვითარება და გარდამავალი პერიოდი II | 3 | 24/51 | განვითარება და გარდამავალი პერიოდი I | V მინისემესტრი | ნორბერტო პინიატი |
| 11503 | მაკროეკონომიკის უმაღლესი კურსი | 3 | 24/51 | | V მინისემესტრი | ერიკ ფიშერი |
| 11504 | ეკონომიკური ზრდა და დინამიკა | 3 | 24/51 | | V მინისემესტრი | ზაზა თევდორაძე |
| 13005 | აკადემიური წერა (უმაღლესი საფეხური) | 4 | 38/62 | | I, II მინისემესტრი | ენდრიუ ჰარგრივსი ეკატერინე გეჯაძე |
| 13006 | აკადემიური წერა (საშუალო საფეხური) | 6 | 59/91 | | I, II, III მინისემესტრი | ენდრიუ ჰარგრივსი ეკატერინე გეჯაძე |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| სამაგისტრო ნაშრომი | | | | | | |
| | სამაგისტრო ნაშრომი | ECTS კრედიტები | საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის | სამაგისტრო ნაშრომი სტატუსი | სწავლების სემესტრი/სემესტრები | სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საათების რაოდენობა | (სავალდებულო/არჩევითი) | | ი |
| | სამაგისტრო ნაშრომი | 21 | 160/360 | სავალდებულო | მეორე კურსი I, II, III, IV, V მინისემესტრი | 1. კარინე ტოროსიანი<br>2. ნორბერტო პინიატი<br>4. მუჰამედ ასალი<br>5. მაიკლ ფიუნციგი<br>6. იაროსლავა ბაბიჩი<br>7. ადამ პელილო<br>8. ფლორიან ბიერმანი |
| | | | | | | |

8. **საერთაშორისო საწარმოთა მართვა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის (გერმანია) ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ორმაგი ხარისხით**

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო საწარმოთა მართვა (Managing International Enterprises)

პროგრამის ხელმძღვანელები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის გამგე, პროფესორი დავით ნარმანია და იენის ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, დოქტორი ანდრეას ფრაიტაგი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კურსდამთავრებულს მიენიჭება მაგისტრის ორმაგი ხარისხი: იენის უნივერსიტეტის მხრიდან – მეცნიერებათა მაგისტრის (“Master of Science“), ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან – ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (“Master of Business Administration ”) ხარისხი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები: ერთობლივი ქართულ-გერმანული სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე ევროპული და მსოფლიო დონის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი.
სწავლების ენა: ქართული (პროგრამის ზოგიერთი კომპონენტისთვის – ინგლისური და/ან გერმანული).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:
ბაკალავრის ხარისხი ;
საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით დაძლევა;
სპეციალობის შიდა გამოცდის წარმატებით დაძლევა, სპეციალობის გამოცდა ტარდება ეკონომიკის პრინციპებში და ესეები ბიზნესის საფუძვლებში. გამოცდის ფორმაა წერითი;
აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა, ასევე გერმანული ენის ცოდნა სასურველია.
აკადემიური წლის განმავლობაში პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 25 სტუდენტით.

სწავლის შედეგი: სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება - სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს, კერძოდ, საერთაშორისო კომპანიების მართვის მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა, გაცნობიერებული ექნებათ პრობლემების გადაჭრის გზები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება - კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, რაც გულისხმობს:
ორგანიზაციების ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს;
განსახორციელებელ ღონისძიებათა დაგეგმვასა და კონტროლს;
მოკლევადიანი და გრძელვადიანი საფინანსო გადაწყვეტილების მიღებას;
ბაზრის მარკეტინგულ კვლევას და საბაზრო რისკების შეფასებას;
კომპანიებში თანამდროვე კომპუტერული პროგრამების, როგორიცაა ERP-სისტემების ეფექტურად გამოყენებას და მათ მორგებას კომპანიისთვის სპეციფიკური რესურსების დაგეგმვისა და კონტროლის თავისებურებებზე;
კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, ამ სტრატეგიის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით და გლობალური ეკონომიკის დინამიკის გათვალისწინებით;

ინტერდისციპლინარული პროექტების მართვა; პროექტის მიზნების ჩამოყალიბება და მათი გარდასახვა სამუშაო პაკეტებში; პროექტ-ჯგუფის მართვა: მოდერირება, მოტივაცია და კონტროლი.

დასკვნის უნარი – კურსდამთავრებულები გამოიმუშავებენ მიღებული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) დამუშავების და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ორგანიზაციის პოტენციალის შეფასებისა და ბიზნესის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავების, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების, ბიზნესის მართვის სფეროში მეცნიერული კვლევის ჩატარების უნარს.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულები გამოიმუშავებენ საერთაშორისო ბიზნეს–პარტნიორებთან კომუნიკაციის ჩვევებს; კრიტიკულ სიტუაციებში კურსდამთავრებულები შეძლებენ გუნდში საერთო გადაწყვეტილების მიღებისას პროცესის მოდერირებას.

სწავლის უნარი - საერთაშორისო სამეწარმეო ურთიერთობების შესწავლით, სხვადასხვა ინფორმაციული წყაროების მოძიებითა და გამოყენებით კურსდამთავრებულები შეძლებენ გააღრმავონ და გააფართოვონ საკუთარი ინტერესის სფეროები.
ღირებულებები – კურსდამთავრებულები აცნობიერებენ ბიზნეს–ერთეულების მორალურ და სოციალურ პასუხისმგებლობას; საერთაშორისო ბაზრებზე ეთიკური ქცევის ზოგად ნორმებს.

ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება – კურსდამთავრებულებები აცნობიერებენ ბიზნესის ადმინისტრირების პრინციპების და თეორიების მნიშვნელობას საერთაშორისო მენეჯმენტის სფეროში მომუშავე მმართველ სპეციალისტთა ჩამოყალიბების პროცესში;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება – კურსდამთავრებულები შეძლებენ მმართველობითი ხასიათის ოპერაციების განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
დასკვნის უნარი – პირველად და მეორად ინფორმაციულ წყაროებზე დაყრდნობით კურსდამთავრებულებს შეეძლებათ მონაცემთა ლოგიკური განზოგადება, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და მათი პრეზენტირება;
კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულებს გამოუმუშავდებათ საერთაშორისო საწარმოს მრავალეროვნულ გარემოში კომუნიკაციის უნარი;
სწავლის უნარი - კურსდამთავრებულებს შეეძლებათ საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა;
ღირებულებები – კურსდამთავრებულები აცნობიერებენ საერთაშორისო ბიზნეს–ეთიკის ღირებულებების ფასეულობას და მათი დამკვიდრების მნიშვნელობას საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

შეფასების წესი
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი შეფასება ნიშანი

სისტემით. სტუდენტს საგანი ჩაბარებულად ეთვლება და კრედიტი ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ის აღნიშნულ საგანში დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. ცალკეული სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები მითითებულია აღნიშნული კურსების სილაბუსებში. ქულები

| | | |
|---|---|---|
| 91 - 100 | ფრიადი | A |
| 81 - 90 | ძალიან კარგი | B |
| 71 - 80 | კარგი | C |
| 61 - 70 | საშუალო | D |
| 51 - 60 | დამაკმაყოფილებელი | E |
| 41 - 50 | არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება | FX |
| 0 - 40 | სრულიად არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს კურსი | F |

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ იმუშაონ:

ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებად, როგორც საქართველოსა და გერმანიაში, აგრეთვე მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებში;

საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო არაკომერციულ ორგანიზაციებში;

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ განახორციელონ სასწავლო–სამეცნიერო საქმიანობა საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებსა და სასწავლო–კვლევით ცენტრებში.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი:ეკონომიკისა და ბიზნესის

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:ბიზნესის ადმინისტრირება
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო საწარმოთა მართვა ( „Managing International Enterprises")
სწავლების საფეხური:მაგისტრატურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის გამგე, პროფესორი დავით ნარმანია
2. ფრიდრიჰ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, დოქტორი – ანდრეას ფრაიტაგი.

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება #57

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011-2012 სასწავლო წელი.

| სასწავლო კურსის დასახელება | სასწავლო კურსისსტატუსი: სავალდებულო, არჩევითი | დაშვების წინაპირობა | საკონტაქტო/ დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | ავტორი/ავტორები | კრედიტებისსაერთოაოდენობა | კრედიტებისგანაწილება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | სემესტრები | | | |
| | | | | | | I | II | III | IV |
| პროგრამის სავალდებულო კურსები | | | | | 67 | | | | |
| რისკ მენეჯმენტი 1 | სავალდებულო | წინაპირობის გარეშე | 30/32,5 | პროფესორი დავით ნარმანია | 2,5 | 2,5 | | | |
| საერთაშორისო ვაჭრობა | სავალდებულო | წინაპირობის გარეშე | 45/80 | ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი | 5 | 5 | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საერთაშორისო მეწარმეობა | სავალდებულო | წინაპირობის გარეშე | 45/80 | ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე | 5 | 5 | | | |
| საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვა 1 | სავალდებულო | წინაპირობის გარეშე | 30/32,5 | პროფესორი ელენე ხარაბაძე | 2,5 | 2,5 | | | |
| საერთაშორისო მარკეტინგ მენეჯმენტი | სავალდებულო | წინაპირობის გარეშე | 45/80 | პროფესორი ნუგზარ თოდუა; ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში | 5 | 5 | | | |
| სტატისტიკური ანალიზის მეთოდები | სავალდებულო | წინაპირობის გარეშე | 45/80 | პროფესორი სიმონ გელაშვილი | 5 | 5 | | | |
| ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა | სავალდებულო | წინაპირობის გარეშე | 45/80 | პროფესორი ნოდარ ხადური, ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია, ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა | 5 | 5 | | | |
| ბიზნეს გარემოს სამართლებრივ - ეკონომიკური რეგულირება | სავალდებულო | წინაპირობის გარეშე | 45/80 | პროფესორი დავით ნარმანია | 5 | | 5 | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მენეჯმენტი | სავალდებულო | წინაპირობის გარეშე | 60/65 | პროფესორი რაინჰარდ ჰაუპტი; ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი | 5 | | 5 | | |
| ინოვაციების ეკონომიკა | სავალდებულო | წინაპირობის გარეშე | 30/95 | პროფესორი უვე კანტნერი | 5 | | 5 | | |
| საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვა2 | სავალდებულო | საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვა 1 | 22/40,5 | პროფესორი ბერნდ ჰუფნერი | 2,5 | | 2,5 | | |
| რისკ მენეჯმენტი 2 | სავალდებულო | რისკ მენეჯმენტი 1 | 22/40,5 | პროფესორი მარიო ბრანდტნერი | 2,5 | | 2,5 | | |
| საერთაშორისო ეკონომიკა | სავალდებულო | საერთაშორისო ვაჭრობა | 45/80 | ასისტენტ პროფესორი ლელა ჯამაგიძე | 5 | | 5 | | |
| არჩევითი კურსები - თსუ | | | | | 5 | | | | |
| აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები | არჩევითი | წინაპირობის გარეშე | 45/80 | პროფესორი ელენე ხარაბაძე | 5 | | 5 | | |
| მონაცემთა ბაზები ბიზნესში | არჩევითი | წინაპირობის გარეშე | 45/80 | პროფესორი იოჰანეს რუჰლანდი | 5 | | 5 | | |
| მენეჯმენტის ფუნქციები საერთაშორისო | არჩევითი | წინაპირობის გარეშე | 45/80 | ასოცირებული პროფესორი გელა | 5 | | 5 | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დივერსიფიცირებულ კომპანიებში (სდკ) | | | | გრიგოლაშვილი | | | | | |
| საერთაშორისო მენეჯმენტი | არჩევითი | წინაპირობის გარეშე | 45/80 | ასოცირებული პროფესორი გელა გრიგოლაშვილი | 5 | | 5 | | |
| მათემატიკა ეკონომისტებისათვის | არჩევითი | წინაპირობის გარეშე | 45/80 | ასოცირებული პროფესორი ომარ ფურთუხია | 5 | | 5 | | |
| კორპორაციული სტრატეგიების ანალიზი | არჩევითი | წინაპირობის გარეშე | 45/80 | პროფესორი რაინჰარდ ჰაუპტი | 5 | | 5 | | |
| ეკონომიკური პოლიტიკაII | არჩევითი | წინაპირობის გარეშე | 45/80 | პროფესორი რევაზ გველესიანი | 5 | | 5 | | |
| | | | | | 12 | | | | |
| სტატისტიკური დასკვნები | სავალდებულო | | | | 6 | | | 6 | |
| ჯგუფური დინამიკა მოდერაცია და პრეზენტაცია | სავალდებულო | | | | 6 | | | | 6 |
| | | | | | | | | | |
| სასწავლო კურსები იენის უნივერსიტეტის არჩევითი მოდული I–დან: (სტუდენტი ვალდებულია | არჩევითი | | | | 12 | | | 12 | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოაგროვოს მინიმუმ 12 კრედიტი)* | | | | | | | | | |
| სასწავლო კურსები იენის უნივერსიტეტის არჩევითი მოდული II–დან: (სტუდენტი ვალდებულია მოაგროვოს მინიმუმ 12 კრედიტი, მათ შორის სულ მცირე 1 სემინარი)** | არჩევითი | | | | 12 | | | 12 | |
| სამაგისტრო ნაშრომი | სავალდებულ ო | | | | 24 | | | | 24 |
| სულ: | | | | | 120 | 30 | 30 | 30 | 30 |

*) არჩევითი მოდული I: მიწოდების ქსელის მენეჯმენტი - 6 კრედიტი; მარკეტინგის მიქსის პოლიტიკა - 6 კრედიტი; ფინანსური მენეჯმენტი, შუამავლობა და კაპიტალის ბაზრის თეორია - 6 კრედიტი; ორგანიზაციის სტრუქტურა - 6 კრედიტი; გადასახადები და საწარმოს შეფასება - 6 კრედიტი; კონცერნის საბუღალტრო აღრიცხვა - 6 კრედიტი; ფირმის თეორია სტრატეგიული მენეჯმენტისათვის - 6 კრედიტი; გადაწყვეტილების მიღება - 6 კრედიტი; აუდიტი, როგორც საწარმოს მართვის ინსტრუმენტი - 6 კრედიტი; ბიზნესის მეცნიერების აქტუალური პრობლემები - 6 კრედიტი; გაღრმავებული მიკროეკონომიკა - 3 კრედიტი; გაღრმავებული მაკროეკონომიკა - 3 კრედიტი; ფული და ფინანსური ბაზრები - 3 კრედიტი; რეგიონალური განვითარება - 3 კრედიტი; ემპირიული მეთოდები - 6 კრედიტი; საზოგადოებრივი არჩევანი - 3 კრედიტი; ეკონომიკური მეცნიერების მიდგომები – 6 კრედიტი; მსოფლიო ეკონომიკის საფუძვლები – 3 კრედიტი; ინტერდისციპლინური საფუძვლები – 5-10 კრედიტი.

**) არჩევითი მოდული II: მიწოდების ქსელის მენეჯმენტი - 6 კრედიტი; მარკეტინგის მიქსის პოლიტიკა - 6 კრედიტი; ორგანიზაციის სტრუქტურა - 6 კრედიტი; ფირმის თეორია სტრატეგიული მენეჯმენტისათვის - 6 კრედიტი; გადაწყვეტილების მიღება - 6 კრედიტი; აუდიტი, როგორც საწარმოს მართვის ინსტრუმენტი - 6 კრედიტი; ბიზნესის მეცნიერების აქტუალური პრობლემები - 6 კრედიტი; სემინარი: საინფორმაციო სისტემის დაგეგმვა - მიმდინარე საკითხები – 6 კრედიტი; სემინარი:

მეწარმეობა, ინოვაცია და რეგიონული განვითარება – 6 კრედიტი; სემინარი: მარკეტინგის მენეჯმენტი – 6 კრედიტი; სემინარი: ორგანიზაცია – 6 კრედიტი; ფუნქციონალური სფეროების საერთაშორისო მენეჯმენტი – 6 კრედიტი, სემინარი: საერთაშორისო მენეჯმენტი - 6 კრედიტი; სემინარი: ეკონომიკის თეორია / ინოვაციების ეკონომიკა ; სამეწარმეო პროექტი – 6 კრედიტი; სემინარი: ემპირიული კვლევა – 6 კრედიტი; პროექტის მენეჯმენტი და დაგეგმვა – 6 კრედიტი.

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ არჩევითი მოდულების ზოგიერთი სასწავლო კურსები იდენტურია, სტუდენტს ორივე მოდულის ფარგლებში არ ჩაეთვლება იდენტურ სასწავლო კურსში ათვისებული კრედიტები.

## 9. ტურიზმი

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება - ტურიზმი (Tourism).
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი (Master in Tourism and Hospitality Management).
პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 120 ECTS კრედიტი.

სწავლების ენა – ქართული.

პროგრამის ხელმძღვანელები:
იოსებ ხელაშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი.
ეკა ლეკაშვილი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

პროგრამის აქტუალობა

პროგრამის აქტუალობას განაპირობებს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის უპრეცენდენტო აღმავლობა. ეს დარგი აღიარებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტად. შესაბამისად, შრომით ბაზარზე იზრდება მოთხოვნები კადრებზე და კვლევით სამუშაოებზე.

ტურიზმის სფეროში მენეჯერული რგოლის კადრების დეფიციტი დიდიხანია აღიარებული სახელმწიფოს მიერ. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმისა და მასპინძლობის მნეჯმენტყის პროგრამა. ახალი გამოწვევების საპასუხოდ, დაგეგმილია უცხოურ სასწავლებლებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომელიც ხელს შეუწყობს კადერების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებას. პარალელურად, ადგილობრივი კადრებისა და უცხოელების ჩართულებით განხორციელდება კვლევები საქართველოს დეპრესირებული რაიონებში ტურიზმის განვითარების პოტენციალის შესწავლის მიზნით. ეს სამუშაოები უკვე დაწყებულია ისეთ ორგანიზაციებთან როგორიცაა - მეცნიერ-ექპერტთა საერთაშორუისო ასოციაცია ( International Association of Scientific Experts in Tourism (AIEST), ჟენევის უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და გარემოს დეპარტამენტი და სხვა.

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ტურიზმის სფეროში მაგისტრების მომზადებისა და  უმაღლესი დონის მენეჯერული კომპეტენციების განვითარება–გაღრმავებაზე ორიენტირებულ პროგრამას. მისი მიზანია ქვეყნის განვითარების პრიორიტეტად აღიარებული ტურიზმის დინამიური და მზარდი ინდუსტრიის შრომის ბაზარის მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ–ჩვევების, სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ:
(1) ტურისტული ორგანიზაციების სტრატეგიული დაგეგმვის, ეფექტიანი მართვის, ორგანიზებული დაპროექტებისა და სტრუქტურული განვითარების საკვანძო საკითხების ცოდნა და შესაბამისი უნარ–ჩვევები; (2) ტურიზმის მაღალი დონის მენეჯერების ფუნქციებისა და გადასაწყვეტი ამოცანების თაობაზე ცოდნა და უნარ–ჩვევები; (3) ტურიზმის მართვის სხვადასხვა დონეზე არსებული საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების ცოდნა და სარგებლობის უნარ–ჩვევები; (4) ნებისმიერი სახის ტურისტულ ორგანიზაციაში მარკეტინგული სამსახურის ორგანიზებისა და წარმართვის უნარი; (5) ტურიზმის სისტემების ამომწურავი ცოდნა და ტურიზმის პოლიტიკის ანალიზის უნარი; (6) ტურიზმის სფეროში სამეცნიერო კვლევების დაგეგმვისა და დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; (7) ლიდერული უნარ–ჩვევები და სხვ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების სტანდარტები შეესაბამება სახელმწიფო მოთხოვნებსა და საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს. პროგრამაზე სწავლა შეუძლია  ყველა მსურველ კანდიდატს, რომელიც ფლობს ბაკალავრის აკადემიურ  ხარისხს.  პროგრამაზე სწავლის მსურველებმა უნდა ჩააბარონ საერთო სამაგისტრო გამოცდა და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები დამატებითი გამოცდა სპეციალობაში. სასურველია, კანდიდატი ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე მაინც.

მისაღები გამოცდა  (ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საფუძვლები) წერითია, ფასდება 100 ქულიანი სისტემით. ბილეთი შედგება ოთხი კითხვისაგან, რომელთაგან თითოეული ფასდება 25 ქულით (მისაღები საგამოცდო საკითხები იხილე დანართში 1). გამოცდისთვის განსაზღვრულია 2 საათი, მინიმალური გამსვლელი ქულაა 51. პასუხი შეფასდება შემდეგი წესით:

- 21-25 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცული; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.
- 16-20 ქულა: პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
- 11-15 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები.

- 6-10 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.
- 1-5 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.
- 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.

სწავლის შედეგი

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

ზოგადი კომპეტენცია:

გააჩნია მომსახურების მენეჯმენტის, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების მართვის, მყიდველზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბების ცოდნა; გუნდის შექმნის პრინციპებისა და ჯგუფში ლიდერობის მიღწევის ცოდნა;

დარგობრივი კომპეტენცია:

გააჩნია ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ემყარება ტურიზმისა და მასპინძლობის გარემოსა და მართვის უახლეს თეორიებს, კონცეფციებსა და მიდგომებს;

გააჩნია ტურიზმისა და საერთაშორისო მასპინძლობის ინდუსტრიის თითოეული სექტორის სტრუქტურული მახასიათებლების, პროდუქტისა და ოპერირების ცოდნა; ტურიზმის კრეატიული განვითარების, ტურიზმის ეკონომიკური სარგებლისა და ხარჯების გამოთვლის, მომხმარებლის ქცევის, ტურიზმში ფასწარმოქმნისა და დისტრიბუციის, ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტის სპეციფიკის, ტურიზმში მეცნიერული კვლევის დიზაინისა და წარმართვის, მასპინძლობის სისტემებისა და პოლიტიკის ანალიზის ცოდნა, რაც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას;

აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ზოგადი კომპეტენცია:

გააჩნია კვლევის პროცესის გააზრების, დაგეგმვის, განხორციელებისა და ადაპტირების, კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების უნარი;

შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;

დარგობრივი კომპეტენცია:

შეუძლია გამოიყენოს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეარჩიოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები და ინსტრუმენტები; აქვს ტურიზმის განვითარების საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი;

შეუძლია ოპერირება ტურიზმის მულტიდისციპლინურ და გაუთვალისწინებელ გარემოში; გააჩნია წამოჭრილი კომპლექსური საკითხების შემოქმედებითი მოგვარების უნარი; შეუძლია გამოავლინოს ინიციატივა და პერსონალური პასუხისმგებლობა პროფესიულ პრაქტიკაში; შეუძლია უნარ–ჩვევების ადაპტირება, ათვისება ან შემუშავება და სხვ.

დასკვნის უნარი

ზოგადი კომპეტენცია:

შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და კრიტიკული ანალიზი, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა;

დარგობრივი კომპეტენცია:

შეუძლია პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; შეუძლია ტურიზმის გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი და მათი შესაძლო გავლენის განსაზღვრა ფირმის, ტურისტული დანიშნულების ადგილისა და სახელმწიფოს საქმიანობაზე.

კომუნიკაციის უნარი

ზოგადი კომპეტენცია:

შეუძლია ეფექტიანად იმუშაოს ჯგუფში, იყოს ლიდერი;

დარგობრივი კომპეტენცია:

შეუძლია ტურიზმისა და მასპინძლობის კვლევის მეთოდებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან;

შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები და მოაგვაროს კონფლიქტები; შეუძლია ეფექტიანად იყენებდეს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა მშობლიურ და ინგლისურ ენებზე.

სწავლის უნარი

ზოგადი კომპეტენცია:

შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლისა და პრაქტიკის საჭიროების განსაზღვრა;

დარგობრივი კომპეტენცია:

გააჩნია დამოუკიდებლად სწავლის უნარი შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით, აქვს სხვების პროფესიონალიზმის გამოყენების უნარი, სადაც ეს შესაძლებელი და მისაღებია;

გააჩნია დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარებისათვის მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.

ღირებულებები

ზოგადი კომპეტენცია:

შეუძლია ახალი და კომპლექსური იდეების შეფასება, სინთეზი და კრიტიკული ანალიზი, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;

დარგობრივი კომპეტენცია:

შეუძლია ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში ღირებულებათა დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება;
შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებდეს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების ფორმატიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებიდან – ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, წყვილში მუშაობა, ვერბალური მეთოდი, დამოუკიდებელი მუშაობა, წერითი მუშაობის მეთოდი (ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, ესეს შესრულება , ბიზნეს წერილების დაწერას და ა.შ.), შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), წიგნზე მუშაობის მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, მოდელირებული სიტუაციების განხილვა, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი და სხვ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა. დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი გამოცდა.

სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესი ასეთია:

| ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან | შეფასება | შეფასების კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| 91 – 100% | ფრიადი (A) | დადებითი |
| 81 – 90% | ძალიან კარგი (B) | დადებითი |
| 71 – 80% | კარგი (C) | დადებითი |
| 61 – 70% | დამაკმაყოფილებელი (D) | დადებითი |
| 51 – 60% | საკმარისი (E) | დადებითი |
| 41 – 50% | ვერ ჩააბარა (FX) | უარყოფითი |
| 0 – 40% | ჩაიჭრა  (F) | უარყოფითი |

მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების წერითი ნამუშევრები ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

პროგრამის სასწავლო გეგმა

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტია (აკადემიური წლის განმავლობაში - 60, ხოლო I და II სემესტრის განმავლობაში - 30 ECTS კრედიტი, III სემესტრის განმავლობაში -25 კრედიტი, IV სემესტრის განმავლობაში - 35 კრედიტი). ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას, აქედან 15 კვირა გამოყოფილია საუდიტორიო მეცადინეობებისა და შუალედური გამოცდებისათვის.  ერთი ECTS კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, საუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%-ს, ხოლო 60% – მოდის დამოუკიდებელი მუშაობის წილად.

პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან: სავალდებულო კურსები 65 ECTS კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა 15 ECTS კრედიტი, კვლევითი ნაშრომი – 10 ECTS კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომი – 20 ECTS კრედიტი. არჩევითი კურსებზე მოდის 10 ECTS კრედიტი – 3 არჩევითი 5 ECTS კრედიტიანი კურსიდან ასარჩევია 2 (III სემესტრში).

ტურიზმის  სამაგისტრო პროგრამა
პროგრამის ამოქმედების თარიღი-2013

| კოდი | სასწავლო კურსის დასახელება | სასწავლო კურსის | საგანზე დაშვების წინაპირობა | საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა | დამოუკიდებელი მუშაობი | ლექტორი | კრედიტების საერთ | კრედიტების განაწილება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | სტატუს ი | | სუ ლ | ლექც ია | სემინა რი | ს საათების რაოდენ ობა | | ო რაოდე ნობა | სემესტრები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | I | II | III | IV |
| პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – სულ 70კრედიტი | | | | | | | | | | | | | |
| 1 | მომსახურები ს მენეჯმენტი | სავალდ . | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | ასოც.პრ ოფ. ნინო ფარესაშ ვილი | 5 | 5 | | | |
| 2 | მარკეტინგის მენეჯმენტი | სავალდ . | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | პროფ. ნუგზარ თოდუა | 5 | 5 | | | |
| 3 | მასპინძლობი ს სისტემები და პოლიტიკა | სავალდ . | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | ასისტენ ტ პროფ. ვ. არღუთ აშვილი | 5 | 5 | | | |
| 4 | საინფორმაცი ო სისტემების მენეჯმენტი | სავალდ . | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | ასოც. პროფ. რუსუდ ან სეთურ იძე | 5 | 5 | | | |
| 5 | ლიდერული უნარ–ჩვევები | სავალდ . | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | ასისტ. პროფ. ეკატერ ინე გულუა | 5 | 5 | | | |
| 6 | სტატისტიკუ რი ანალიზი | სავალდ . | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | ასოც. პროფ. | 5 | 5 | | | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტურიზმში | | | | | | | ნინო აბესაძე | | | | | |
| 7 | საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი | სავალდ. | მომსახურების მენეჯმენტი | 45 | 15 | 30 | 80 | ასოც. პროფ. ეკა ლეკაშვილი | 5 | | 5 | | |
| 8 | ტურისტული დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი | სავალდ. | მომსახურების მენეჯმენტი | 45 | 15 | 30 | 80 | ასოც. პროფესორი ნანა კაციტაძე | 5 | | 5 | | |
| 9 | ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგის სტრატეგიები | სავალდ. | მარკეტინგის მენეჯმენტი | 45 | 15 | 30 | 80 | პროფ ი.ხელაშვილი | 5 | | 5 | | |
| 10 | კვლევის მეთოდები ტურიზმში | სავალდ. | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | ასოც. პროფ. ეკა ლეკაშვილი | 5 | | 5 | | |
| 11 | კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი | სავალდ. | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | ისტ აკ. დოქტორი ნიკო კვარაცხელია | 5 | | | 5 | |
| 12 | ფინანსური მენეჯმენტი | სავალდ. | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | პროფ ი.ხელაშ | 5 | | | 5 | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მასპინძლობასა და ტურიზმში | | | | | | | ვილი | | | | | |
| 13 | ტურიზმის მდგრადი განვითარება | სავალდ. | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | პროფ ი.ხელაშვილი | 5 | | | 5 | |
| სპეციალობის არჩევითი კურსები – 10 კრედიტი | | | | | | | | | | | | | |
| | სამკურნალო ტურიზმი | არჩევითი | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | ეკ. აკ.დოქტორი მამუკა ხუსკივაძე | 5 | | | 10 | |
| | ინვესტირების საფუძვლები სასტუმრო ინდუსტრიაში | არჩევითი | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | პროფესორი ი. ხელაშვილი | 5 | | | | |
| | სათავგადასავლო ტურიზმი | არჩევითი | არა აქვს | 45 | 15 | 30 | 80 | ასოც პროფ ნანა კაციტაძე ი. ვაწაძე | 5 | | | | |
| კვლევითი ნაშრომი – 10 კრედიტი | | | | | | | | | | | | | |
| | | სავალდ. | არა აქვს | 250 | | 10 | 240 | პროფესორი ი.ხელაშვილი | | | 10 | | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | ასოცირებული პროფესორი ნ. კაციტაძე | | | | | |
| პროფესიული პრაქტიკა – 15კრედიტი | | | | | | | | | | | | | |
| | | სავალდ. | ათვისებული მინიმუმ 50 კრედიტი | 375 | | 135 | 240 | პროფესორი ი.ხელაშვილი ასოც. პროფ. ეკა ლეკაშვილი | | | | | 15 |
| სამაგისტრო ნაშრომი – 20 კრედიტი | | | | | | | | | | | | | |
| | | სავალდ. | კვლევითი ნაშრომი, მთლიანი სასწავლო კომპონენტი | 500 | | 20 | 480 | პროფესორი ი.ხელაშვილი ასოცირებული პროფესორი ნ. კაციტაძე | | | | | 20 |
| პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – სულ 65 კრედიტი<br>სპეციალობის არჩევითი კურსები – სულ 10 კრედიტი<br>კვლევითი ნაშრომი – 10კრედიტი<br>პროფესიული პრაქტიკა – 15 კრედიტი | | | | | | | | | | | | | |

| |
|---|
| სამაგისტრო ნაშრომი – 20 კრედიტი |
| სულ 120 კრედიტი |

* არჩევითი 3 კურსიდან ასარჩევია - 2 (III სემესტრში)

### დოქტორანტურა

10. ბიზნესის ადმინისტრირება

პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება
( Business Administration)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი (Ph.D in Business Administration)

სადოქტორო პროგრამა მოიცავს შემდეგ კონცენტრაციებს:

- ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;
- მარკეტინგი;
- მენეჯმენტი;
- ფინანსები;
- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი ;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

პროგრამის ხელმძღვანელები:
პროფესორი ნუგზარ თოდუა და პროფესორი თემურ შენგელია
სადოქტორო პროგრამის კონცენტრაციების ხელმძღვანელებია:
პროფესორი ე. ხარაბაძე;
პროფესორი ნ. თოდუა;
პროფესორი დ. ნარმანია;
პროფესორი ი. კოვზანაძე;

პროფესორი დ. სიჭინავა ;
პროფესორი თ. შენგელია;
პროფესორი ი.ხელაშვილი

პროგრამის მიზანი
პროგრამის მიზანია დოქტორანტებისათვის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში შემოქმედებითი (ნოვატორული) იდეების გენერაცია, კრეატიული იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნა, ამ იდეების შეფასებისა და განხორციელებისათვის საკმარისი ანალიტიკური უნარის გამომუშავება, მათი სხვებისათვის გააზრება და გავრცელება, აგრეთვე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლება. ეს მიზნები თსუ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების შესაბამის კათედრებზე განხორციელდება მეცნიერული კვლევების ორგანიზებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

პროგრამის შედეგები
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორები მომავალი ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალი მენეჯერები არიან, რომელთაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები და გაავრცელონ ისინი პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

ა) ცოდნა და გაცნობიერება:
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მას უნდა გააჩნდეს ბიზნესის მართვის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის ხელახალი გააზრების, გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა იცოდეს მეცნიერული კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები და ხერხები, კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები, ბიზნესის მართვის თეორიები, კონცეფციები და პრინციპები, რომლებიც მეცნიერების უახლეს მიღწევებზეა დამყარებული.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა შეეძლოს ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა, აგრეთვე ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე იქნება ორიენტირებული და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში აისახება. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა ჰქონდეს ბიზნეს–პროცესების გააზრებისა და ადაპტირების მეცნიერული ერთიანობის უნარი. აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში მან ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის წინსვლას, ხოლო პრაქტიკულ საქმიანობაში მას უნდა შეეძლოს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და განსაზღვროს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

გ) დასკვნის უნარი:
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეძლოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ბიზნესის მართვაში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა, პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.

დ) კომუნიკაციის უნარი:
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეძლოს დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩინოს ახალი ცოდნა არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან დაამყაროს კომუნიკაცია, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან უცხოურ ენაზე თემატურ პოლემიკაში ჩართვა. კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს შეუძლია :

მაღალკვალიფიციური მონაწილეობის მიღება ზოგადი და სპეციალური ხასიათის ბიზნესის საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიაში;
არსებული ცოდნის კრიტიკული ანალიზი და მისგან ახალი ცოდნის მკაფიო გამიჯვნა და დემონსტრირება;
შეუძლია მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
წამყვანი ელექტრონული ბიბლიოთეკებიდან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით ბიზნესის ადმინისტრირების დარგში უახლესი ინფორმაციის მიღება და გაცემა;

უცხო ენის ცოდნა - C1 დონე – პროფესიონალი მცოდნე (დარგობრივ სფეროში). კომუნიკაცია – შეუძლია რთული, ვრცელი ტექსტების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი ისე, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას დრო არ დაუთმოს. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ. კითხვა – შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილების გადაკითხვა. წერა – შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა.

ე) სწავლის უნარი:
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს შეუძლია:
უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიღება და გადაცემა;
სრულფასოვანი და მასშტაბური კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად შემუშავება, რომელიც პასუხობს მაღალ აკადემიურ სტანდარტებს და კონკურენტუნარიანია სამეცნიერო ფონდების კვლევის დაფინანსების მოპოვების თვალსაზრისით.

ვ) ღირებულებები:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა შეეძლოს ბიზნესის მართვის სფეროში ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შეუშავება, ორიგინალური კვლევების მეშვეობით თავისი წვლილი შეიტანოს ბიზნესის განვითარებაში.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სფეროა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები, საწარმოო კოოპერატივები, სამეურნეო ამხანაგობები და საზოგადოებები), აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროში. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორებს ასევე, შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს. აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს. პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მოეთხოვება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში „უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი). სასურველია მაგისტრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მეცნიერებების ნებისმიერ სპეციალობაში. თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირებაგავლილ, აგრეთვე, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სამუშაო გამოცდილების მქონე პიროვნებებს (შესაბამისი დოკუმენტაცია სხვა საბუთებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი). პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვთ როგორც მიმდინარე, ისე გასული წლების მაგისტრატურისა და ერთსაფეხურიანი სწავლების კურსდამთავრებულებს. სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველი უნდა ფლობდეს კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევებს, ასევე აუცილებელია უცხო ენის (ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე. დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი კომისიის წინაშე.

პროგრამის სტრუქტურა
სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის მომზადების სპეციფიკა, აგრეთვე ის გამოცდილება, რაც დაგროვდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებთან და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებთან მუშაობის პროცესში. ასევე, გათვალისწინებულია საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნები (სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ინსტრუქცია,

დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი) და თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადა 3 წელია (მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 5 წელი). დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს, 130 კრედიტი ეთმობა კვლევას.

სასწავლო კომპონენტი გულისხმობს ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიღებული ცოდნის გაღრმავებას, ტრანსფერირებადი უნარების განვითარებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას და დოქტორანტის ჩართვას სასწავლო პროცესში. იგი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის დაწერაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

| დასახელება | სტატუსი | კრედიტ. რა ოდენო ბა |
|---|---|---|
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | სავალდებულო | 5 კრედიტი |
| პროფესორის ასისტენტობა | სავალდებულო | 15 კრედიტი |
| სემინარი | სავალდებულო | 1 5 კრედიტი |
| აკადემიური წერა | სავალდებულო | 5 კრედიტი |
| არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა | არჩევითი | 10 კრედიტი |
| სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში | არჩევითი | 5 კრედიტი |
| მეცნიერების მენეჯმენტი | არჩევითი | 5 კრედიტი |
| კვლევის მეთოდები | არჩევითი | 5 კრედიტი |
| საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები | არჩევითი | 10 კრედიტი |
| უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი | არჩევითი | 10 კ რედიტი |

| | | |
|---|---|---|
| (შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში) | | |

უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა შეიძლება პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები - სემინარი და კოლოქვიუმები შეასრულონ უცხო (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ) ენაზე ქართული სინქრონული თარგმანით.

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი:

| ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან | შეფასება | შეფასების კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| 91%– ზე მეტი | (A) „ფრიადი“ | დადებითი |
| 81 – 90% | (B) „ძალიან კარგი“ | დადებითი |
| 71 – 80% | (C) „კარგი“ | დადებითი |
| 61 – 70% | (D) „დამაკმაყოფილებელი“ | დადებითი |
| 51 – 60% | (E) „საკმარისი“ | დადებითი |
| 41 – 50% | (FX) „ვერ ჩააბარა“ | უარყოფითი |
| 40% და ნაკლები | (F) „ჩაიჭრა“ | უარყოფითი |

დისერტაციის შეფასება

დისერტაციის დაცვა ფასდება სადისერტაციო კომისიის დახურულ სხდომაზე ფარული კენჭისყრით, რაზეც დგება ოქმი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების შესაბამის კათედრებზე, აგრეთვე თსუ-ს, საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზაზე. ფაკულტეტზე, სადაც დაგეგმილია კვლევა, არსებობს კომპიუტერული კლასები და ინტერნეტი. ასევე, ცალკეულ კათედრებს გააჩნიათ კომპიუტერები და ინტერნეტში მუშაობის შესაძლებლობა. პროგრამაში მონაწილე ყველა ლექტორს აქვს შესაბამისი უახლესი ლიტერატურა, ამიტომ დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება სწავლებისა და კვლევებისათვის აუცილებელი ლიტერატურით.

დოქტორანტების მისაღები რაოდენობა
ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 35-40 დოქტორანტის მიღება სხვადასხვა კონცენტრაციით.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სადოქტორო პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად.
დოქტურანტურის ცნობარი და სხვა დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე:
http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/economics/study/doctorate/u7n77kyw1jjauqyfw

## 11. ეკონომიკა

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება - ეკონომიკა (Economics)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ეკონომიკის დოქტორი (Ph.D in Economics)
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები – აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა და პროფესორი რევაზ გველესიანი
სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი: ეკონომიკის მიმართულებაში სინთეზირდება ეკონომიკური და პოლიტიკური ცოდნა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს, მისი ეკონომიკისა და ბიზნეს-სტრუქტურების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების შესამუშავებლად. აღნიშნული მიმართულება უზრუნველყოფს ეკონომიკური, პოლიტიკური და ფინანსური პროცესების სტრატეგიული გაძღოლის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, რომლებმაც უნდა შეძლონ არა მარტო საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების სისტემური ანალიზი, არამედ მოახდინონ სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების პრაქტიკაში რეალიზება. ასეთ სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, მსხვილ კორპორაციებსა და კონსალტინგურ ცენტრებში.

ეკონომიკური პირობების გავლენით, ეკონომიკის დოქტორებზე დიდი მოთხოვნაა, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში, რადგან სოციალისტური ეკონომიკური მსოფლმხედველობის ტრანსფორმირება სულ ორი ათეული წელია მიმდინარეობს და ეს პერიოდი მაღალღირებული მეცნიერული ეკონომიკური კვლევების ჩასატარებლად და თეორიების შესამუშავებლად არც ისე ხანგრძლივი დროა. საბაზრო ეკონომიკური აზროვნების ფორმირება, დამკვიდრება, განვითარება და სრულყოფა კი შეუძლებელია სრული უმაღლესი განათლების მქონე ადამიანური რესურსების გარეშე, რაც დოქტორანტურის საფეხურის წარმატებით გავლას გულისხმობს.

ამასთან, პროგრამის კურსდამთავრებულები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქართული და მსოფლიო ეკონომიკური აზროვნების განვითარებაში.

პროგრამის შედეგი:

დარგობრივი კვალიფიკაცია – სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება დარგობრივი კვალიფიკაცია - ეკონომიკის დოქტორის ხარისხი (PhD in Economics).

დოქტორები მომავალი ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალები არიან, რომელთაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად განავითარონ მიღებული ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ ეკონომიკური მოვლენები და პროცესები და მოახდინონ მათი ინტერპრეტირება პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

ცოდნა – ეკონომიკის დოქტორს მოეთხოვება ფუნდამენტური სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება საბაზრო ეკონომიკური წესრიგის შესაბამისად. ეკონომიკის მიმართულების დაუფლება იძლევა მრავალ ცხოვრებისეულ სიტუაციაში მისი რეკომენდაციების გამოყენებისა და წარმატებული ეკონომიკური ქმედების შესაძლებლობას; კერძოდ, ეკონომიკის დოქტორმა უნდა შეძლოს ინდივიდუალური და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების: ლოგიკური ანალიზის, ემპირიული გამოკვლევისა და ნორმატიული დასაბუთების საფუძველზე.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- ფლობს სისტემურ და სიღრმისეულ თეორიულ ცოდნას მიკრო – და მაკროეკონომიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური პროცესების კვლევის რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების შესახებ;
- სისტემური და სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე აცნობიერებს კრიტიკულ პრობლემებს, ზოგადად ეკონომიკის და სოციალური მეცნიერებების მომიჯნავე სფეროებში და, კონკრეტულად, მის მიერ არჩეული კვლევის თემის ფარგლებში, რის საფუძველზეც მას შეუძლია აწარმოოს თეორიული ან გამოყენებითი კვლევა, რომელიც თვისებრივად გაამდიდრებს არსებულ ცოდნას ამ სფეროში;
- იცის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება და აცნობიერებს, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საქმეში, იმ პრობლემების დაძლევაში, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას უშლის ხელს;

➢ გაცნობიერებული აქვს კვლევის რელევანტური მეთოდოლოგიის და მეთოდიკის სრულყოფილი ცოდნის აუცილებლობა კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად წარმართვის ან ხელმძღვანელობისთვის; მათ წინაშე მდგარი პრობლემების ახალი, თანამედროვე და ორიგინალური მიდგომებით გადაჭრისთვის; სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებისთვის; სხვადასხვა რესურსის ოპტიმალურ გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:
ეკონომიკის დოქტორი პროფესიულ დონეზე ფლობს ეკონომიკური მეცნიერების კვლევის ყველა ძირითად მეთოდს, რომლის საფუძველზეც მას შეუძლია:
➢ წარმოადგინოს ეკონომიკური პრობლემის ღრმა და მრავალმხრივი ანალიზი;
➢ შეიმუშაოს ეფექტიანი რეკომენდაციები დასმული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის ყველაზე ოპტიმალური გზების შესახებ;
➢ დასახოს კომპლექსური ღონისძიებები პრობლემის გადასაჭრელად;
➢ შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც მიმართულია ახალი ცოდნის შეძენაზე;
➢ მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენებით;
➢ გადაჭრას პრაქტიკული პრობლემები მულტიდისციპლინური მიდგომებით; მოიძიოს/ჩამოაყალიბოს პრობლემების გადაჭრის ახალი მიდგომები.
უნარ-ჩვევებს გაანალიზონ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება და გააცნობიერონ, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საქმეში, იმ პრობლემების დაძლევაში, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას უშლის ხელს;
➢ კომპლექსური კვლევითი პროექტის სრული ციკლის დაგეგმვა და თავისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელება;
➢ ოპტიმალურად გადაანაწილოს არა მხოლოდ თავისი, ასევე დიდი კვლევითი ჯგუფის/ კოლექტივის დრო, გაანაწილოს ფუნქციები, უხელმძღვანელოს ჯგუფის მუშაობას და დასახოს კვლევითი ჯგუფის ყველა წევრის კონკრეტული ამოცანები და პრიორიტეტები.

დასკვნის უნარი:
➢ ეკონომიკის დოქტორს შეუძლია არსებული პრობლემების ახლებური ახსნის ძიება, რთული პრობლემების დამოუკიდებლად და სწორად გადაჭრა, მათ შორის, კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობის პროცესში;
➢ აქვს უნარი, მიიღოს სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილება და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს დამატებითი რესურსები, შეიმუშავოს ახალი მეთოდოლოგია.

კომუნიკაციის უნარი:
ეკონომიკის დოქტორს შეუძლია :
➢ მაღალკვალიფიციური მონაწილეობის მიღება ზოგადი და სპეციალური ხასიათის ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიაში;

- არსებული ცოდნის კრიტიკული ანალიზი და მისგან ახალი ცოდნის მკაფიო გამიჯვნა და დემონსტრირება;
- შეუძლია მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
- წამყვანი ელექტრონული ბიბლიოთეკებიდან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით ეკონომიკის დარგში უახლესი ინფორმაციის მიღება და გაცემა;
- უცხო ენის ცოდნა - C1 დონე – პროფესიონალი მცოდნე (დარგობრივ სფეროში). კომუნიკაცია – შეუძლია რთული, ვრცელი ტექსტების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი ისე, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას დრო არ დაუთმოს. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ. კითხვა – შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილების გადაკითხვა. წერა – შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის წერითი გადმოცემა, კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა.

სწავლის უნარი:
ეკონომიკის დოქტორს შეუძლია:
- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიღება და გადაცემა;
- სრულფასოვანი და მასშტაბური კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად შემუშავება, რომელიც პასუხობს მაღალ აკადემიურ სტანდარტებს და კონკურენტუნარიანია სამეცნიერო ფონდების კვლევის დაფინანსების მოპოვების თვალსაზრისით.

ღირებულებები:
ეკონომიკის დოქტორი საუნივერსიტეტო სასწავლო და კვლევით გარემოში გამოიმუშავებს ისეთ პიროვნულ და პროფესიულ ფასეულობებს, რომელიც ეროვნული და საერთაშორისო საზოგადოებისთვის მისაღებ მაღალზნეობრივ სტანდარტებს შეესაბამება. საუნივერსიტეტო გარემოში მუშაობა სტუდენტებს უყალიბებს თანამედროვე დასავლური ღირებულებებისადმი ერთგულებას, მათი ქართულ რეალობაში დამკვიდრების სურვილსა და მზაობას.

გ. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:
- სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურები;
- მსხვილი კორპორაციები და კონსალტინგური ცენტრები;
- საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები;
- უმაღლესი სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები.

სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები:
სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს. პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მოეთხოვება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი). სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველი სასურველია ფლობდეს კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევებს, ასევე აუცილებელია უცხო ენის (ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე.

დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი კომისიის წინაშე.

პროგრამის სტრუქტურა

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი და მისი კომპონენტები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და კომპეტენციების მიღწევას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ მომავალ დასაქმებას.

კომპეტენციები უმაღლესი განათლების სასწავლო გეგმის კონტექსტში აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვებისა და შეფასების განხორციელება.

ერთი სასწავლო წელი შედგება ორი – შემოდგომისა და გაზაფხულის – სემესტრისაგან. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 15 კვირას.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით ეკონომიკის დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადა 3 წელია.

დოქტორანტმა სწავლის და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს, დანარჩენი 130 კრედიტი ეთმობა კვლევას.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

| დასახელება | სტატუსი | კრედიტ. რა ოდენო ბა |
|---|---|---|
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | სავალდებულო | 5 კრედიტი |
| პროფესორის ასისტენტობა | სავალდებულო | 15 კრედიტი |
| სემინარი | სავალდებულო | 1 5 კრედიტი |
| აკადემიური წერა | სავალდებულო | 5 კრედიტი |
| არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა | არჩევითი | 10 კრედიტი |
| სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში | არჩევითი | 5 კრედიტი |
| მეცნიერების მენეჯმენტი | არჩევითი | 5 კრედიტი |
| კვლევის მეთოდები | არჩევითი | 5 კრედიტი |
| საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები | არჩევითი | 10 კრედიტი |

| | | |
|---|---|---|
| უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი (შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში) | არჩევითი | 10 კ რედიტი |

უცხო ქვეყნის მოქალაქემ შეიძლება პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები – სემინარი და კოლოკვიუმები შეასრულოს უცხო (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ) ენაზე ქართული სინქრონული თარგმანით.
სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემით.

სწავლების მეთოდები

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კომპონენტში გათვალისწინებულია სააუდიტორიო მეცადინეობები. ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები, დისკუსიები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები.

სალექციო მეცადინეობის დანიშნულებაა სასწავლო კურსის თემების განხილვა თეორიულ ჭრილში და დოქტორანტთათვის შეაბამისი თემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სალექციო კურსი წარმოადგენს ცოდნის მიღების ერთ–ერთ ძირითად წყაროს, ხოლო სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე ხდება პროგრამის შედეგებით განსაზღვრული სხვა კომპონენტების მიღწევა. პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების დანიშნულებაა სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის განმტკიცება, შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გამოკვეთა, პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ–ჩვევების გამომუშავება.

მეცადინეობები ჩატარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარების ჩატარება, პრეზენტაციების ჩატარება, აგრეთვე კონსულტაციები და დამოუკიდებელი მუშაობა.

სწავლება წარიმართება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სწავლების მეთოდებით. ამასთან, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის, პრაქტიკული მეთოდები და სხვ.

მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი განმტკიცდება პროფესორის ასისტენტობის კომპონენტის შესრულებისას.

ლექციები, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობები და დამოუკიდებელი მუშაობა იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ კურსდამთავრებულს ჰქონდეს ფუნდამენტური ცოდნა და უნარები ეკონომიკის სფეროში პროგრამის მიზნების შესაბამისად;

დისკუსიები და პრეზენტაციები საშუალებას აძლევს დოქტორანტს შეძლოს საკუთარი დასკვნების საჯარო წარმოდგენა, შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით მათი მკაფიო დასაბუთება;

პროფესორის ასისტენტობა – დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შემდეგს: სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმების ჩატარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვა "საბავშვო უნივერსიტეტის" მსმენელებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება; ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადება სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით (ე. წ. LMS – Learning Management System – Moodle და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; ტუტორობა და სხვა.

კრედიტების რაოდენობა დამოკიდებულა ჩატარებული საათების რაოდენობაზე და იმ დროზე, რომელიც მოანდომა დოქტორანტმა შესრულებულ სამუშაოს.

კრედიტების მინიჭება შეიძლება მოხდეს შემდეგი პრინციპით: მაგალითად, თითოეულ ჩატარებულ საათს ემატება ოთხი საათი, ანუ პირობითად ის დრო, რომელსაც ანდომებს დოქტორანტი მისთვის მზადებას. საათების რაოდენობას შეიძლება დაემატოს ის დრო, რომელიც დოქტორანტმა დაუთმო თავისი ხელმძღვანელის (ან სხვა რომელიმე სრული და ასოცირებული პროფესორის) ლექციებზე დასწრებას პროფესიული სრულყოფის, შესაბამისი მეთოდოლოგიის დაუფლების მიზნით. კრედიტების რაოდენობა შეიძლება დამოკიდებული იყოს გასწორებული ნაშრომების რაოდენობაზე. დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროფესორის ასისტენტობისთვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმების საათები არ შედის აკადემიური პერსონალის და/ან მოწვეული პროფესორების საათობრივ დატვირთვაში.

სემინარი – სადოქტორო სემინარში მონაწილეობს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები; სემინარების რაოდენობას განსაზღვრავს ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება. სემინარის ორგანიზებას ახდენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. შესაძლებელია, შეიქმნას ინტერდისციპლინური და ინტერფაკულტატური სემინარები. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სხვა პირობები დგინდება ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებით.

სხვა – სხვა სასწავლო აქტივობის/აქტივობებისათვის კრედიტების მინიჭება ხდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით;

საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი – საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება კრედიტების აღიარების კომისიის მიერ.

უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი – უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება აღიარება ხდება კრედიტების აღიარების კომისიის მიერ.

დოქტორანტის სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება აუცილებლად ითვალისწინებს სტუდენტის სემესტრულ აქტიურობას, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს, აგრეთვე, ესეს, რეფერატის ან პრეზენტაციის მომზადებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. შეფასების შესაბამისობა სასწავლო კურსის შედეგებთან მოცემულია საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი:

| ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან | შეფასება | შეფასების კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| 91%– ზე მეტი | (A) „ფრიადი“ | დადებითი |
| 81 – 90% | (B) „ძალიან კარგი“ | დადებითი |
| 71 – 80% | (C) „კარგი“ | დადებითი |
| 61 – 70% | (D) „დამაკმაყოფილებელი“ | დადებითი |
| 51 – 60% | (E) „საკმარისი“ | დადებითი |
| 41 – 50% | (FX) „ვერ ჩააბარა“ | უარყოფითი |
| 40% და ნაკლები | (F) „ჩაიჭრა“ | უარყოფითი |

დისერტაციის შეფასება

დისერტაციის დაცვა ფასდება სადისერტაციო კომისიის დახურულ სხდომაზე ფარული კენჭისყრით, რაზეც დგება ოქმი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:

ა) (P) – დაიცვა;

ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის დაცვის შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude – ფრიადი;

magna cum laude – ძალიან კარგი;

cum laude – კარგი;

bene – საშუალო;

rite – დამაკმაყოფილებელი.

7. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულებაში შემავალი კათედრებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ბაზაზე.

კათედრებს გააჩნიათ კომპიუტერები, ინტერნეტის ქსელი, ქსეროქსი, სკანერი. პროგრამაში მონაწილე ყველა ლექტორს აქვს შესაბამისი უახლესი ლიტერატურა.

8. დოქტორანტების მისაღები რაოდენობა

ფაკულტეტზე არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია 25-30 დოქტორანტის მიღება. კერძოდ, ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს–ცენტრი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური და პროგრამული საშუალებებით, ასევე, ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, სადაც წარმოდგენილია თანამედროვე ქართულ და უცხოურენოვანი სამეცნიერო–ეკონომიკური ლიტერატურა; ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ–გერმანული ინსტიტუტის რესურსები და სხვა სასწავლო და დამხმარე საშუალებები.

9. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

დოქტორანტის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, ქველმოქმედების და თვითდაფინანსების ფორმით.

## 12. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი

პროგრამის სახელწოდება - ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი (Tourism and Hospitality Management)

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ტურიზმის დოქტორი (PhD in Tourism)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 180 ECTS კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელი – პროფესორი იოსებ ხელაშვილი

სწავლების ენა – ქართული.

პროგრამის მიზანი
ტურიზმის სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს ტურიზმის სპეციალისტების მომზადებისა და უმაღლესი დონის მენეჯერული კომპეტენციების განვითარება–გაღრმავებაზე ორიენტირებულ პროგრამას. მისი მიზანია სტუდენტების მომზადება მაღალ

კვალიფიციურ სპეციალისტებად ტურიზმის დინამიური და მზარდი ინდუსტრიისათვის. ბოლო წლებში, საქართველოში, სამოქალაქო და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება–სრულყოფისათვის, მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდება. ტურიზმის სფეროს განვითარება აღიარებულია ქვეყნის პრიორიტეტად. ამასთან, საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე შესაფერისი ადგილის დამკვიდრება მოითხოვს ამ სფეროს კომპეტენტურ კადრებს, რომელთა დეფიციტი ქვეყანაში საგრძნობია. ქვეყნის სტრატეგიული ამოცანა – ტურიზმის გეგმაზომიერი განვითარება და ამით ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში რეალური წვლილის შეტანა, საჭიროებს შესაბამის მხარდაჭერას თსუ–ს მხრიდან, რაც ეროვნული ტურიზმის ინდუსტრიისათვის მაღალ–კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებში გამოიხატება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი აკადემიური პროგრამა. სავარაუდო საკვლევი პრობლემები ეხება ტურიზმისა და მასპინძლობის ზეგავლენას (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ჭრილში), მის წვლილს ეკონომიკურ ზრდაში, ტურიზმის მდგრად განვითარებას, კერძოდ ისეთ თემებს, როგორიცაა: საქართველოს ეკონომიკაში მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორის წვლილის დადგენა, საქართველოს ეკოტურიზმის ბაზრის განვითარების პერსპექტივები, კულტურული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოს რეგიონებში და ა.შ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

დოქტორანტურაში სწავლის მსურველ ყველა კანდიდატს უნდა ჰქონდეს ბიზნესის, მენეჯმენტის, ტურიზმისა და მასპინძლობის აკრედიტებული ან მონათესავე პროგრამების
მაგისტრის ხარისხი, ასევე დაიშვებიან მათთან გათანაბრებულ პირები (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი).

დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს. დოქტორანტობის კანდიდატს, თუ მას ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და ქართული მისი მშობლიური ენა არ არის, მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მისაღები კანდიდატები შეფასდებიან წარსული გამოცდილების, ინგლისური ენის ცოდნის (B2 დონე) და წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიმოხილვის შედეგად კანდიდატებს შესაძლოა დასჭირდეთ დამატებითი საკურსო მოთხოვნების დაკმაყოფილება. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს, დადგენილი დოკუმენტებითურთ და გადის გასაუბრებას სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი კომისიის წინაშე.

სწავლის შედეგი

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის დოქტორს მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური,
სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება საბაზრო ეკონომიკის პირობებში.
ტურიზმის სადოქტორო პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერე ბა :
ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის სისტემური, ტურიზმის გარემოსა და მართვის თეორიების, კონცეფციებისა და პრინციპების უახლეს მიღწევებზე დამყარებული სიღრმისეული ცოდნა;
ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის ფუნქციონალური სფეროების: ოპერაციული
და სტრატეგიული მენეჯმენტის, პროექტების მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეტალური ცოდნა;
დეტალური ცოდნა ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის ეროვნული და გლობალური ეკონომიკური გარემოს შესახებ;
არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით
ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ღონისძიებების
გატარების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:
ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს გამოკვლევის, კვლევის შედეგების ანალიზისა
და შეფასების რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდების სრულად ფლობა;
კვლევის პროცესის გააზრების, დაგეგმვის, განხორციელებისა და ადაპტირების მეცნიერული ერთიანობის უნარი;
ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის უნარი;
ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა შემუშავების
უნარი, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების
ფართო სპექტრის გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის შეფასება, სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და მისადაგება;
ტურიზმის განვითარების საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი;
კომპლექსურ და გაუთვალისწინებელ, შესაძლოა განსაკუთრებულ კონტექსტში ოპერირების უნარი და საკითხების მოგვარების უნარი საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
პროფესიულ პრაქტიკაში ინიციატივისა და პერსონალური პასუხისმგებლობის გამოვლენის უნარი;
უნარ–ჩვევების ადაპტირება, ახალ სიტუაციაში ახალი უნარ–ჩვევების შეძენა ან შემუშავება და სხვ.

დასკვნის უნარი
განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობის უნარი, მათი შეფასება და კრიტიკული ანალიზი, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა;
პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

კომუნიკაციის უნარი
ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში კომუნიკაცია კოლეგებთან, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან;
ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში ხელის შეწყობა ტექნოლოგიური, სოციალური და კულტურული წინსვლისათვის;
ეფექტიანად მუშაობა ჯგუფში, მის ლიდერად ან რიგით წევრად;
მოლაპარაკებების წარმოება და კონფლიქტების მოგვარება;
პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო
ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება;
ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი
საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლისა და პრაქტიკის საჭიროების განსაზღვრა;
დამოუკიდებლად სწავლის უნარი შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით, აქვს სხვების პროფესიონალიზმის გამოყენების უნარი, სადაც ეს შესაძლებელი და მისაღებია;
უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.

ღირებულებები
ახალი და კომპლექსური იდეების შეფასება, სინთეზი და კრიტიკული ანალიზი;
ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება;
განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: სასწავლო
კომპონენტის კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის მეთოდები, კვლევის პერიოდში და სემინარზე მუშაობისას მიღებული ცოდნის გენერირება და სათანადო კონტექსტში მისი წარმოჩენა, დისკუსია/დებატები, დამოუკიდებელი მუშაობა, წერითი მუშაობის მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრეზენტაცია, საინფორმაციო რესურსებთან მუშაობა, დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავება, საჯარო დაცვა, კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით პრობლემების კვლევისა და პროგნოზირების მეთოდებით სარგებლობა და სხვ.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

| დასახელება | სტატუსი | კრედიტ. რა ოდენო ბა |
|---|---|---|
| სწავლების თანამედროვე მეთოდები | სავალდებულო | 5 კრედიტი |
| პროფესორის ასისტენტობა | სავალდებულო | 15 კრედიტი |
| სემინარი | სავალდებულო | 1 5 კრედიტი |
| აკადემიური წერა | სავალდებულო | 5 კრედიტი |
| არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა | არჩევითი | 10 კრედიტი |
| სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში | არჩევითი | 5 კრედიტი |
| მეცნიერების მენეჯმენტი | არჩევითი | 5 კრედიტი |
| კვლევის მეთოდები | არჩევითი | 5 კრედიტი |
| საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები | არჩევითი | 10 კრედიტი |
| უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი (შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში) | არჩევითი | 10 კ რედიტი |

“

პროფესორის ასისტენტობა (15 კრედიტი)

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შემდეგს: სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმების ჩატარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვა “საბავშვო უნივერსიტეტის” მსმენელებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება; ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადება სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით (ე. წ. LMS – Learning Management System – Moodle და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; ტუტორობა და სხვა.

სემინარი (15 კრედიტი)
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სხვადასხვა სადოქტორო პროგრამის გაერთიანების შედეგად იქმნება სადოქტორო სემინარი, რომელშიც მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები (კოორდინატორები), სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები; სემინარების რაოდენობას განსაზღვრავს ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება. სემინარის ორგანიზებას ახდენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. შესაძლებელია, შეიქმნას ინტერდისციპლინური და ინტერფაკულტატური სემინარები. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია.

დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.
სხვა პირობები დგინდება ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებით.

დისერტაცია
დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.

დისერტაციის შეფასება
სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის დაცვა ფასდება სადისერტაციო კომისიის დახურულ სხდომაზე ფარული კენჭისყრით, რაზეც დგება ოქმი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
სადისერტაციო ნაშრომი ფასდება:
ა) (P) – დაიცვა;
ბ) (F) – ვერ დაიცვა.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება –მაქსიმალური შეფასების 71-80%;
დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

დასაქმების სფეროები

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულნი დოქტორის ხარისხით მზად იქნებიან დასაქმდნენ ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს საჯარო და კერძო სექტორების უმაღლეს პოზიციებზე, მათ შორის უმაღლეს მენეჯერულ პოზიციებზე, კვლევით პოზიციებსა და ლექტორებად უმაღლეს სასწავლებლებში.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული რესურსების გამოყენებით.

ასევე, საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა და მასში არსებული სამეცნიერო ელ-ბაზები, კომპიუტერების რესურს ცენტრი, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ მსხვილ ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება სწავლებისა და კვლევებისათვის აუცილებელი რესურსით.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სადოქტორო პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს თ ს უ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესაბამისად. უნივერსიტეტის სტრატეგიიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე, დაწესებულება ორიენტირებულია კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე, რაც ასახულია მის საბიუჯეტო გეგმაში.

ადამიანური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ადამიანური რესურსებით. მის განხორციელებაში მონაწილეობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომელსაც დიდი სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება აქვს და აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო დიალოგში; პროგრამის რეალიზებაში ჩართულ პროფესურას აქვს თანამედროვე აკადემიური ცოდნა, მეცნიერებაში უახლესი მიღწევების შემოქმედებითი და კრიტიკული ანალიზის უნარი, ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავების წარმატებული გამოცდილება.